# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№126 (9957) 2025 წლის 15 სექტემბერი, ორშაბათი


თავისუფალი ტრიბუნა



მამუკა ფიფია

4 5

# დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან!

## ეს დროის, ეს ქართველი ხალხის მოთხოვნაა!



დავით ახლოური:

7

**აწრისხეველი მოხუცები**

•

**ქართლელი გლეხის სახლ-კარი**

•

**მზვარეთის ტრაგედია**



სულის ძახილი

9

თვალზე ცრემლი შეიმშრალე, უფალი დიდია, ყველაფერი კარგად იქნება...

სოსო მანჯავიძე:

6



## კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერებანი თანამედროვე ეპოქაში

სიმონ კილაძე:

8

## ევროპული უსაფრთხოების გარანტიები უკრაინისთვის

სიმდიდრის შკალა

## მართლაც რომ არავინ იცის - სად მოიგებს, სად წააგებს...

8



## პოლონელი მილიარდერი ევროპაში ღვთისმშობლის ყველაზე მაღალ ქანდაკებას აშენებს!

12

# HYSTERA

## გაცოფებულთა ვნებათაღელვა







თეიმურაზ ქორიძე

იხ. 3 გვ.


ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ბორჯომი მაინც სხვაა!




**„ბორჯომი“ არა მხოლოდ ისტორიულად პირველი, დარგის ლიდერი მინერალური წყლის კომპანიაა საქართველოში, ის ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია მთელს მსოფლიოში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** „ბორჯომის“ ქარხნის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყვიბისში, 48 000 კვადრატულ მეტრზე საერთაშორისო სტანდარტების ქარხნის მშენებლობისთვის გაღებული 120-მილიონიანი ინვესტიცია უმსხვილესია, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ დარგში განხორციელებულა.

* * *

**„ქარხანა აგებულია ენერგოეფექტური მასალებით, ხოლო წარმოების თითოეული ეტაპი უმაღლეს საერთაშორისო ეკოლოგიურ სტანდარტებს შეესაბამება. ეს არის ხიდი ჩვენს უნიკალურ მემკვიდრეობასა და პასუხისმგებლიან, მდგრად მომავალს შორის.**

**მისასალმებელია, რომ კომპანია მიღწეულზე არ ჩერდება და მომხმარებელს სთავაზობს ისეთ ინოვაციურ პროდუქტებს, როგორიცაა „ბორჯომის“ ლიმონათი თუ წყლის ახალი ხაზები. ეს, ახალ ტექნოლოგიებთან ერთად, ხელს უწყობს კომპანიის ამბიციური სტრატეგიული ხედვის განხორციელებას – დაიმკვიდროს თავი ახლა უკვე ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზეც. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია პროექტის სოციალური ეფექტი. 600-მდე დასაქმებული ადგილობრივი ნიშნავს სტაბილურ შემოსავალს ამდენივე ოჯახისთვის და, ამავდროულად, კეთილდღეობისა და განვითარების ახალ პერსპექტივას მთელი რეგიონისთვის, ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის. ჩვენი მთავრობის პრიორიტეტია, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი სწორედ ასეთი ეროვნული წარმოების განვითარებას, რომელიც ქმნის დოვლათს ქვეყნის შიგნით და საქართველოს უმკვიდრებს მაღალი ხარისხის მწარმოებელი ქვეყნის რეპუტაციას მსოფლიოს მასშტაბით. გისურვებთ წარმატებებს ქართული სახელის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრების საქმეში,“** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ და კომპანიის ხელმძღვანელობას, თითოეულ ინვესტორსა და თანამშრომელს პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა.




ქარხნის გახსნის ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **მარიამ ქვრივიშვილმა,** „IDS borjomis“ საერთაშორისო და საქართველოს გენერალურმა დირექტორებმა - **აფნან აჰსანმა** და **ივანე მაჭავარიანმა.**

პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის წევრებთან ერთად, ახლად გახსნილი ქარხანა დაათვალიერა და მისი საწარმოო შესაძლებლობების შესახებ დეტალური ინფორმაცია „ბორჯომის“ ხელმძღვანელებისგან მიიღო. ქარხნის ოთხი ულტრათანამედროვე ჩამომსხმელი ხაზის საწყისი სიმძლავრე წელიწადში 750 მილიონი ბოთლია, 2030 წლისთვის კი – მილიარდს მიაღწევს.

„ბორჯომის“ ქარხნის გახსნის ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი ხელისუფლების წევრები და ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ.

* * *

**მთავრობის მეთაურმა ბორჯომის ცენტრალურ პარკში მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა და პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია ინფრასტრუქტურის მინისტრ რევაზ სოხაძისგან მიიღო.**

ამ ეტაპისთვის რეაბილიტაცია უტარდება კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ბორჯომის ყოფილ ქარხანას, აქტიურად მიმდინარეობს შენობის ფასადის სრული რესტავრაცია.



პროექტი ითვალისწინებს ბორჯომის ისტორიული პარკის სრულ განახლებას, მათ შორის, დაგეგმილია გასართობი, საბავშვო, სპორტული მოედნების მოწყობა და საფეხმავლო ბილიკების განახლება.

აქტიურ ფაზაშია პარკის სპორტული სივრცეების რეაბილიტაცია. უკვე დასრულებულია პადელის სამი კორტის მშენებლობა, მიმდინარეობს მულტიფუნქციური სტადიონისა და სკეიტ პარკის მოწყობა.

პარკის გასართობ ზონაში განთავსდა ახალი ატრაქციონები, მოეწყო ახალი მოსასვენებელი სივრცე, სრულად განახლდა სადრენაჟე და სარწყავი სისტემები. პარკი სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის. ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 35 მილიონი ლარია.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, მეუფე თეოდორესთან ერთად, აწყურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დაათვალიერა.**

მთავრობის მეთაური პროექტის დეტალებს მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად გაეცნო. ტაძარი, რომლის მშენებლობაც დასრულების ეტაპზეა, იმ ისტორიული იერსახით აღდგა, რაც მას თავდაპირველად ჰქონდა და აღდგენილ ტაძარზე შენარჩუნებულია უძველესი დეტალები. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს გუმბათის გადახურვა.

ტაძრის რეაბილიტაციისთვის ფონდმა „ქართუმ“ დღემდე 9 მილიონ ლარზე მეტი გამოყო. პროექტის საორიენტაციო ღირებულება 12 მილიონი ლარია. მთავრობის მეთაურს მეუფე თეოდორემ, მრევლის სახელით, საჩუქრად წმინდა ღვთისმშობლის ხატი გადასცა.



# დედაქალაქს ყველაზე ძალიან მწვანე სივრცეები უხდება!



**თბილისის მერია კიდევ ერთ მულტიფუნქციურ საზოგადოებრივ ცენტრს დიდუბის რაიონში ააშენებს. პროექტის ფარგლებში, დიღმის მასივში 16 000 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე სამი ბლოკი აშენდება, სადაც სხვადასხვა სპორტული და კულტურული სივრცე მოეწყობა.**

აღნიშნული ცენტრის პროექტის დეტალებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე, მოადგილე ანდრია ბასილაიასთან ერთად ადგილზე გაეცნო.

**„დღეს, კიდევ ერთ მაგარ პროექტს ვაანონსებთ. წლების წინ, აღნიშნულ ტერიტორიაზე დიდი გამაჯანსაღებელი ცენტრი, საცურაო აუზი, სავარჯიშო დარბაზები, სპორტული მოედნები იყო. წინა ხელისუფლების დროს გასხვისდა კერძო მესაკუთრეზე ჯერ ათწლიანი არსებული სტატუსის შენარჩუნებით, შემდეგ კი, ინვესტორს შეეძლო სამშენებლო სამუშაოები განეხორციელებინა, თუნდაც დაენგრია კომპლექსი და აქ კორპუსი აეშენებინა.**

**ჩვენ გვქონდა აქტიური მოლაპარაკებები მეპატრონესთან, შევთანხმდით ადგილმონაცვლეობაზე, ტერიტორია კი მუნიციპალიტეტს და მოსახლეობას დაუბრუნდა. ჩვენთვის ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ რეკრეაციული ან სპორტული სივრცეების ხარჯზე არ მოხდეს მშენებლობები. ქალაქის განვითარებას, მშენებლობას, ბიზნესსექტორს ხელს ვუწყობთ, მაგრამ ეს ყველაფერი ურბანულად სწორად უნდა მოხდეს.**

**ჩვენ უკვე გვაქვს პროექტი. სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი კი უახლოეს მომავალში გამოცხადდება. პირველ რიგში, ავარიული შენობის დემონტაჟი მოხდება და შემდეგ უკვე დავიწყებთ ცენტრის მშენებლობას. ეს იქნება ყველაზე დიდი ცენტრი თბილისში, რაც კი აგვიშენებია–16 000 კვ.მ-ზე განთავსებული. პროექტის მიხედვით, მოეწყობა ორი საცურაო აუზი, ორი ჩოგბურთის კორტი, რომელიც გადახურულ შენობაში იქნება და ეს არის სიახლე, რაც არცერთ სხვა ცენტრში არ გვაქვს. იქნება სატრენაჟორო, სავარჯიშო სივრცეები, საკალათბურთო და საფეხბურთო მოედნები, მინი საფეხბურთო მოედანი და ა.შ.“,** – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

გარდა ამისა, შენობაში განთავსდება საკონფერენციო სივრცე, სასწავლო აუდიტორიები, სასტუმრო ნომრები, სპორტული მაღაზია, ფარიკაობის დარბაზი, მხატვრული ტანვარჯიშისა და ცეკვის დარბაზი. აღნიშნულ პროექტს თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური განახორციელებს და სამუშაოებისთვის 45 728 748 ლარი დაიხარჯება.

* * *

**ისნის რაიონის გამგეობამ ვაზისუბნის დასახლებაში, ნოე რამიშვილის ქ. N22-26-ის მიმდებარედ, 2 300 კვ.მ ფართობზე სკვერის რეაბილიტაცია დაასრულა.**

ადგილზე თბილისის მერი კახა კალაძე მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად იმყოფებოდა.

**„მიხარია, მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელება. არაფერი არ უხდება ჩვენს ქალაქს ისე, როგორც მწვანე სივრცეების არსებობა. ჩვენი მიზანია, რომ ყველა უბანში შევიდეთ და მსგავსი პროექტები განვახორციელოთ. ადგილობრივ მოსახლეობას მადლობას ვუხდი, რადგან მათი ჩართულობით მოხდა უსახური ფარეხების დაშლა, შემოღობვების დემონტაჟი. შედეგად, მოეწყო მოსასვენებელი პავილიონები, ატრაქციონები, განათებები, სარწყავი სისტემები და ა.შ. როდესაც ვსაუბრობთ სიცოცხლით სავსე ქალაქზე, სწორედ ეს არის – პარკები და სკვერები ყველა თაობის ადამიანითაა სავსე“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

გარდა ამისა, სკვერის ტერიტორიაზე მოეწყო მინი საფეხბურთო მოედანი, ველობილიკი და საპარკინგე სივრცე. ასევე, პროექტი გამგეობის ბიუჯეტიდან 703 508 ლარით დაფინანსდა.





პუბლიცისტური სჯანი

საქართველოს რესპუბლიკა

# HYSTERA

**თანამედროვე საქართველოში უკიდურესად გაპოპულარებული ამ ტერმინის (ისტერია) მნიშვნელობა, იმედია, ბევრმა იცის, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გავიმეორებ. მშობლიურ ქართულ ენაზე ეს გახლავთ**

**ძრწოლვა, შფოთვა, უკმაყოფილება, მრისხანება, ვნებათაღელვა, სიბრაზე, რისხვა, შფოთვა, ჩოჩქოლი, წიოკი, გაგულისება, გაცეცხლება, გაცოფება, გულკვირობა, აბორგება, აქოთება...**

**შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ძველი ბერძნული სამედიცინო ტერმინი ჰისტერა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეექვსე-მეხუთე საუკუნიდან მოდის, „მედიცინის მამად“ აღიარებულ ჰიპოკრატეს სახელს უკავშირდება და ქართულად საშვილოსნოს ნიშნავს.**



## გაცოფებულთა ვნებათაღელვა

**წმინდა ჰიპოკრატესეული სამედიცინო თვალსაზრისით, ეს არის ქალების სასქესო „აპარატის“ მოშლით გამოწვეული ნერვული დაავადება, რომლის მთავარი სიმპტომებია სულიერი განწყობის უპროგნოზოდ სწრაფი ცვლილებები, უმიზეზო სიცილ-კისკისი, ტირილი, სრული მდუმარება ან აგრესია. აქედან გამომდინარე, ისტერიით შეპყრობილი ადამიანისგან მოსალოდნელია ნებისმიერი დანაშაული. ხაზს ვუსვამ, თუ ადამიანი მართლაც ისტერიითაა შეპყრობილი და არა ისტერიის მანტიამოსხმულია.**

**ძნელია, არ ენდო ლეგენდად ქცეულ დიდ ბერძენ მეცნიერს, ვინც თავის დროზე მსოფლიო მედიცინის შესწავლის მიზნით ბევრი იმოგზაურა საბერძნეთში, ეგვიპტეში, თუ მცირე აზიაში; დაამკვიდრა ავადმყოფის ხელით გასინჯვის ტექნოლოგია, ავადმყოფობის აღწერა (ავადმყოფობის ისტორია) და ანალიზების (მაგალითად, შარდისა და სხვა გამონაყოფების) აუცილებლობა; შექმნა მოძღვრება სნეულებათა პროგნოზისტიკაზე; საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო გეოგრაფიასა და ტოპოგრაფიას; საოცარი სიზუსტით აღწერა მრავალი დაავადების (მათ შორის, ეპიდემიების, ეპილეფსიის, ცხელების, გრიპების...) მიმდინარეობა; თავისი ტემპერამენტის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბა ადამიანთა ოთხი ტიპი (სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი); ჩამოაყალიბა მკურნალობის ძირითადი პრინციპები; ექიმებისთვის შექმნა დღემდე მოქმედი „ჰიპოკრატეს ფიცი“; გადადგა კიდევ უამრავი ნაბიჯი და, რაც მთავარია, მოახერხა მედიცინის ქურუმთა გავლენისგან გათავისუფლება!**

**დავუბრუნდეთ ისტერიას.**

ჰიპოკრატეს ეპოქიდან მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებამდე მიიჩნეოდა, რომ ისტერია იყო მხოლოდ საშვილოსნოსთან დაკავშირებული ფუნქციური ნერვულ-ფსიქიკური აშლილობა, ხოლო მისი მკურნალობის საუკეთესო საშუალება – „დაავადებული“ ქალის სექსუალური დაკმაყოფილება. თუმცა, იმ ფაქტსაც ვერსად გავექცევით, რომ ამ სენით უამრავი უსაშვილოსნო, ანუ მამრობითი სქესის ადამიანი იყო შეპყრობილი.

ამის დასტურად თუნდაც რომის ახალგაზრდა იმპერატორი (37-41 წლებში), **გაიუს იულიუს კეისარ ავგუსტუს გერმანიკუსი**, შინაურულად – **კალიგულა (პატარა ჩექმა)** გამოდგება. ლეგენდები მისი ისტერიული საქციელის შესახებ დღემდე შემაძრწუნებელია – გაუთავებელი დროსტარებები; უახლოესი ადამიანების ცინიკური ხოცვა-ჟლეტა; არანაკლებ ცინიკური საჯარო გამოსვლები; უახლოეს ადამიანებზე, მათ შორის, საკუთარ დებზე სექსუალური ძალადობა... და, რა თქმა უნდა, სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული...

უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან მსოფლიო მედიცინის კორიფეებმა ეჭვი შეიტანეს ჰიპოკრატესეულ თეორიაში, რის თანახმადაც ისტერია, როგორც დაავადება, შესაძლოა, მხოლოდ საშვილოსნოს აშლილობასთან, მისი ფუნქციების ცვალებადობასთან ან, სულაც, სქესობრივ და-




უკმაყოფილებლობასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ანუ ეს ყოფილიყო მხოლოდ ე.წ. ქალური დაავადება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მრავალსაუკუნოვან დავას საბოლოო წერტილი ჩვენთვის კარგად ცნობილმა ებრაული წარმოშობის დიდმა გერმანელმა მეცნიერმა **ზიგმუნდ ფროიდმა** დაუსვა. მან ფრანგი ექიმი-მეცნიერის **ჟან მარტენ შარკოს** ნაშრომებზე დაყრდნობით კოლეგა იოზეფ ბროიერთან ერთად გამოწვლილვით შეისწავლა პრობლემა და 1895 წელს გამოსცა ნაშრომი „ისტერიის ფენომენის ფსიქიკური მექანიზმების შესახებ“, ხოლო ერთი წლის შემდეგ – „გამოკვლევები ისტერიის შესახებ“. ამ ნაშრომის მიხედვით, დაავადების ძირითადი მახასიათებელია თეატრალური ქცევა, ვნებათაღელვა, აჟიოტაჟი, სულიერი განწყობის სწრაფი ცვალებადობა, უმიზეზო სიცილ-ტირილი, კრუნჩხვა, არაადეკვატური საქციელი და სიტყვა-პასუხი. რაც მთავარია, დაავადებულ პირებს, სქესის მიუხედავად, სპექტაკლის დასადგმელად და მასების ყურადღების მისაპყრობად ჭირდებათ მაყურებელი.

ამის კლასიკური მაგალითია **ადოლფ ჰიტლერი** – ფაშისტური გერმანიის შემქმნელი და მისი ფიურერი 12 წლის განმავლობაში. კაცი, ვინც მის მიერვე ინსპირირებული მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი სამეცნიერო ექსპედიციებს გზავნიდა ჰიმალაის მთებში გერმანული რასის არიული წარმომავლობის დასამტკიცებლად; ვინც ყველაფერი გააკეთა ებრაული წარმოშობის ადამიანების მიწის პირისაგან აღსაგველად და, საერთოდ, ცივილიზებული სამყაროს დასამონებლად. გავიხსენოთ, თუნდაც, მისი საჯარო გამოსვლები და ათასობით, ასიათასობით, მილიონობით გერმანელის თავგანწირული ისტერიული შეძახილები – **ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!..**

ასე რომ, ახალი და გასაკვირი სულაც არ გახლავთ ქართველი კომიკური ადოლფის, სააკაშვილის მიმდევართა ქუჩური პროტესტები და მათი **ოლე! ოლე! ოლე!..** თუმცა, ქართველი საშვილოსნოიანი და უსაშვილოსნო გაურკვეველი სქესის მოპროტესტეთა ენით აღუწერელი ბინძური ქმედებები და ენაბილწობა, ცოტა არ იყოს, ძნელი ასახსნელია.

სხვათა შორის, შარშან მშობლიურ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა რეჟისორ ჯორდან ვოგტ-რობერტსის მხატვრული სერიალი სახელწოდებით „ისტერია“. ფილმში აღწერილია ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში განვითარებული ე.წ. „სატანური პანიკის“ შედეგად განვითარებული მოვლენები: როგორ უსწორდებიან ტყავის ქურთუკიანი და ჯადოქრების ნიღბიანი ავანტიურისტები მშვიდობიან მოქალაქეებს. მიზანი საკმაოდ ბანალური და ნაცნობია – ქალაქის მკვიდრთა დაშინება და მათზე გავლენის მოპოვება. საკმაოდ მძიმე სიუჟეტია, მაგრამ მაინც ღირს ნახვად – ძალიან ჰგავს შარშან ნოემბრიდან თბილისში (და თითქმის მთელ საქართველოში) განვითარებულ მოვლენებს. არის პრინციპული განსხვავებაც – ამერიკულ „მოძრაობას“ სათავეში უდგას ბნელი კრიმინალური ძალა, ქართულს – „მშობელ ხალხზე მზრუნველი პოლიტიკური პარტიები!“




**დიახ, საუბარია სწორედ იმ „პოლიტიკურ პარტიებზე“, რომლებიც უკვე თითქმის წელიწადია, ისტერიული სიჯიუტით ყოვლად აბსურდული „მშვიდობიანი რევოლუციის“, „მშვიდობიანი გადატრიალებისა“ და ხელისუფლების „მშვიდობიანი დამხობისკენ“ რომ მოგვიწოდებენ“.**

**ამგვარი მოწოდებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი გახლავთ ნაცმოძრაობის ნომერი მეორე ლიდერი ლევან ხაბეიშვილი (ნომერი პირველი თინა ბოკუჩავაა, ხოლო მიხეილ დიდი სააკაშვილი – ბელადი!). სწორედ მას ეკუთვნის უამრავჯერ საჯაროდ გამეორებული ისტერიული განცხადება, 200 000 ევროს გადაუხდი ძალოვანი სისტემის ყველა წარმომადგენელს, ვინც ჩვენს მხარეს გადმოვა და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწოდებსო.**

**ეს ცრუ მოწოდებები ისტერიულია თუნდაც იმის გამო, რომ აშკარად განუხორციელებელია – ხაბეს და მის პარტიას ელემენტარულად არ შეუძლია ამ თანხის ოფიციალურად გადახდა იმ შემთხვევაშიც კი, საკუთარი პარტიის ოფისის სეიფები ევროებით გადატენილი რომ ეგულებოდეს. ასეთი ნაბიჯი მყისიერად გამოიწვევდა ხელისუფლების დაინტერესებას და სასწრაფო გამოძიების დაწყებას ფულის წარმომავლობის დასადგენად.**

თუმცა, როგორც ჩვენი ბრძენი წინაპრები ბრძანებდნენ, ზოგი ცხვრისკენ და ზოგიც მგლისკენო: კი ბატონო, თავისი „პოლიტიკური მოღვაწეობისა“ და აშკარად ანტისაზოგადოებრივი საქციელის გამო, ლევან ხაბეიშვილი ქუჩაში თავისუფლად ვერ უნდა დასეირნობდეს და ყოველდღე ტელევიზიებიდან ვერ უნდა გვმოძღვრადეს.

მაგრამ აშკარად ისტერიული განცხადების გამო მისი დაპატიმრებაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი უწყების ისტერიული ქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს. ან, იქნებ, ხაბეს დაჟინებული მოწოდებები ორასათასიანი „საჩუქრის“ თაობაზე არის სატყუარა, მის უკან რაღაც სერიოზული დანაშაულებრივი ჩანაფიქრი იმალება და სპეცსამსახურებმა ეს იციან.

ასეა თუ ისე, ხაბეიშვილის დაპატიმრება შედიოდა სწორედ ხაბეიშვილის და მისი მიმდევრების ინტერესებში და დამპატიმრებლებს ეს უნდა სცოდნოდათ. ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ მათ ამ ნაბიჯს **ანა წითლიძის** (ან სხვა ნებისმიერი ნაცლიდერის) კიდევ უფრო ისტერიული განცხადება მოჰყვებოდა. მაგალითად, ასეთი: **„...მე, ანა წითლიძე, ჩემს მეგობრებთან ერთად ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ 200 000 დოლარს, რომელიც იყო დასახელებული და რის გამოც ხაბეიშვილს ბრალი წაუყენეს, ვაორმაგებ და ყველა იმ ადამიანს, მოქმედ ძალოვანს, რომელიც არ შეასრულებს ბიძინა ივანიშვილის უკანონო ბრძანებას, 400 000 დოლარს გადავცემ ჯილდოს. ამაზე ვარ პირადად პასუხისმგებელი. გამოვიდეს ახლა მდინარაძე და თუ აქვს ამის ერთი ადგილი, დამაკავოს.“**

**ამის წამკითხველი ძნელია, არ დაეთანხმო გენიალურ ჰიპოკრატეს, ისტერიულ შეტევებს სექსუალურ აშლილობას რომ უკავშირებდა.**

ისტერიულობაში კიდევ უფრო შორს წავიდა ჯერ კიდევ გუშინ „ქართული ოცნების“ წევრობით მოამაყე და მის დამაარსებელ ბიძინა ივანიშვილის თვალებში შემციცინე **გედევან ფოფხაძე: „გულწრფელად გეტყვით, მაგათი (ხელისუფლების წარმომადგენლების, – თ. ქ.) არავის ფიზიკური განადგურება არ მეწყინება. ივანიშვილი არის ჩემთვის ნაძირალა და გარეწარი და თუ ივანიშვილს ბენზინს გადაასხამენ და ცეცხლს წაუკიდებენ, მე ეს არ მეწყინება... გულწრფელად გეუბნებით“.**

რა თქმა უნდა, მეც გულწრფელად მჯერა პატივცემული არცთუ ფრთიანი გედის გულწრფელობისა – ამხელა პოლიტიკური გამოცდილების მქონე „მოაზროვნე“ ტყუილს როგორ იკადრებს!

სიმართლეს, ანუ რასაც ფიქრობს, იმას რომ ამბობს, სწორედ ეს უნდა იყოს დამაფიქრებელი ბატონი გედის თანაპარტიელებისა და ოჯახის წევრებისთვის. აშკარაა, რომ კაცი დისოციაციური აშლილობითაა შეპყრობილი და მისი გონება აბსოლუტურად მოწყვეტილია რეალობას. ჩემი მოკრძალებული რჩევა იქნება, მიიყვანეთ ეს არაკაცი ფსიქიატრთან – მისი მკურნალობის შანსი ჯერ კიდევ არსებობს!



აი, ამის მთქმელ პარტია „გირჩის“ მარეკლამირებელ სიმპათიურ გოგონას კი, ისტერიისგან განსაკურნებლად, ალბათ, სიყვარულით პატარა წამოთაქებაც უშველის: **„ოთხი წელიწადი უნივერსიტეტში ვიარე, მაგრამ მაინც „გირჩისგან“ უფრო მეტი ვისწავლე.“**

სამწუხაროდ, ინდივიდუალური და მასობრივი ისტერიულობის მაგალითების მოშველიება თანამედროვე საქართველოს სინამდვილიდან უსასრულოდ შეიძლება. განსაკუთრებით, ეს მშობლიური თაღლითური ისტერიის ფუძემდებელსა და შემსრულებელს **ნიკა გვარამიას** შეეხება. არც ბრიყვულად ისტერიული **ალეკო ელისაშვილის** დავიწყება გვმართებს.

**თავი შეიძლება იმით ვინუგეშოთ, რომ ამ თვალსაზრისით, საქართველო სულაც არ არის გამონაკლისი – მეგობარ უკრაინაში, მოლდოვაში, საფრანგეთში ან, თუნდაც, აშშ-ში ბევრად უარესი ვითარებაა!...**



თეიმურაზ ქორიძე

13. 09. 2024



დღეს გთავაზობთ ინტერვიუს პარტია **„სოლიდარობა მშვიდობისთვის“** საერთაშორისო მდივანთან, ბატონ **მამუკა ფიფიასთან**, რომელიც ბოლო დროს საინტერესო ინიციატივებით გამოდის ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

ეს საინტერესო თაოსნობები როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო მედიის ყურადღებას იპყრობს. თავის მხრივ, ე.წ. „პროდასავლური“ საინფორმაციო სააგენტოები ცდილობენ მისი საქმიანობის დისკრედიტაციას. მოგეხსენებათ, პოლიტიკური დისკუსიები და ინტრიგები საზოგადოებაში ინტერესს იწვევს იმ პროცესების მიმართ, რომლებიც პარტიის გარშემო ხდება და ამიტომ გადავწყვიტეთ **„სოლიდარობა მშვიდობისათვის“** ლიდერს ინტერვიუს სახით გავსაუბრებოდით.



# დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან!

## ეს დროის, ეს ქართველი ხალხის მოთხოვნაა!

**— ბატონო მამუკა, თქვენ იყავით ერთ-ერთი ინიციატორი, როცა ჯერ კიდევ 7 მაისს გაიმართა კონფერენცია რუსეთთან დიალოგის თაობაზე და შემდეგ დაიწყეთ ხელმოწერების შეგროვება.**

**საინტერესოა, რით დასრულდება ეს პროცესი?**

— უპირველეს ყოვლისა, გმადლობთ, რომ დაინტერესდით ამ აქტუალური საკითხით. დიახ, ამ კონფერენციაზე დაესწრო ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, 30-ზე მეტი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ჩვენ დავაარსეთ ზეპარტიული გაერთიანება „თავისუფალი ტრიბუნა“ და მივიღეთ რეზოლუცია რუსეთთან დიალოგის მოწოდებით დავგეწყო ხელმოწერების შეგროვება, რაც ძალიან წარმატებით მიმდინარეობს დღესაც. ქართულ-რუსული დიალოგი ორი ქვეყნის ინტერესებშია და საქართველოს მოსახლეობის მხრიდან დიდ აქტივობას ვხედავთ, ძალიან ბევრი ადამიანია დიალოგის მომხრე. უბრალო ხალხი, მშვიდობიანი მოქალაქეები რეგიონებში თავად აგროვებენ ხელმოწერებს და გვიგზავნიან. ასევე, ელექტრონულად მიმდინარეობდა ხელმოწერები და მიუხედავად იმისა, რომ საიტი manifest.ge არაკეთილმოსურნეებმა ამ დროის განმავლობაში თითქმის ერთი თვე გათიშეს, რომ ჩვენთვის ხელი შეეშალათ, დღეისათვის 83 000-მდე ხელმოწერა დადასტურდა! ეს უპრეცედენტო ფაქტია, ამდენი ხელმოწერა ჯერ არავის შეუგროვებია საქართველოში ელექტრონულად! ამის გარდა შევაგროვეთ ხელმოწერა ბლანკებზე და საერთო რაოდენობა 140 000-მდეა. ჩვენ ასევე, სტუდიაშიც ჩავატარეთ ინტერაქტიული გამოკითხვა და ზარების 92%-მა დადებითად შეაფასა ჩვენი ინიციატივა.

**მოკლედ, ქართველი ხალხის ერთსულოვანი ნებაა, დაიწყოს დიალოგი და ჩვენ უახლოეს ხანებში გავაკეთებთ ოფიციალურ განცხადებას, მივმართავთ საქართველოს მთავრობას, რომ დიალოგი აუცილებელია და მათ აქვთ ხალხის მხარდაჭერა ამ პროცესის დასაწყებად!**

**— ბატონო მამუკა, არიან ე.წ. „პროდასავლური“ ორგანიზაციები და მედიები, რომლებიც ცდილობენ, ხელი შეუშალონ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირების პროცესს. ზუსტად ისინი ავრცელებენ ინფორმაციას, რომ თქვენ „გეორგიევსკის ტრაქტატი 2“-ის გაფორმების ინიციატივით გამოდიხართ. იქნებ განგვიმარტოთ, ეს რას ნიშნავს...**




— ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა, ჩემი და ზოგადად ჩვენი თანამოაზრეების დისკრედიტაციის მცდელობაა, რაც მას შემდეგ დაიწყო, როდესაც დიალოგის მოწოდებით ხელმოწერების შეგროვება აქტიურად დავიწყეთ, ეს მოსალოდნელიც იყო და ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით. ორ ქვეყანას შორის ფიგურალურად უნდა შედგეს დიალოგი და მათ შორის მოვიხმე სიტყვები „ახალი გეორგიევსკი“, რასაც წმინდა სიმბოლური დატვირთვა აქვს და მიუთითებს ისტორიული პარალელის მოხმობას და ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებას. მაგრამ, როდესაც ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ და წარმატებით მთავრდება ჩვენი ინიციატივა, ერთ-ერთ ტელეარხზე კიდევ ერთხელ გამოვიყენე სიტყვები „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და სწორედ ამას მოყვა მათი აბსურდული ბრალდებები.

**დღეს ისე არ უჭირს საქართველოს, როგორც ეს იყო მე-18 საუკუნეში, იმ დროისთვის მართლაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო მეფე ერეკლე მეორემ, რამაც ქართველი ხალხი გადაარჩინა ფიზიკური განადგურებისგან, დაქუცმაცებისგან და სულაც გამუსულმანებისგან. ახლა კი სხვა ვითარებაა, დღეს საქართველოს და რუსეთს ერთმანეთი სჭირდებათ და როცა დაიწყება დიალოგი, მოლაპარაკებები წარიმართება ორ სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, აბსოლუტურად თანაბარი პირობებით. მე ეს ზუსტად ვიცი, რადგან კარგად ვიცნობ რუსეთში არსებულ პოლიტიკურ ელიტას და ვიცი მათი აზრი და შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით.**

**— ბატონო მამუკა ასევე ერთობ საინტერესოა თქვენი და სათათბიროს დსთ-ს და ევრაზიული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ლეონიდ კალაშნიკოვის ერთობლივი ინტერვიუ გაზეთ „ასავალ-დასავალში“. აქაც ისმის კრიტიკა თქვენი მისამართით, კონკრეტულ საკითხებზე: „ხელშეკრულების გაფორმება რუსეთთან“ და „კონსტიტუციიდან 78-მუხლის ამოღება“.**

— კრიტიკა ყველას მხრიდან მოსალოდნელია, როცა ერთგულად ემსახურები ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და პოლიტიკაში ხარ, თუმცა ის, რაც მე და ზოგადად ჩვენს პარტიას გაუკეთებია ბოლო წლების განმავლობაში, გაუგებარია ოპონენტების გაუაზრებელი კრიტიკა. მაგალითად, ჩვენ ვთხოვეთ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რომ აღდგენილიყო პირდაპირი ფრენები, მოხსნილიყო სავიზო რეჟიმი, საქართველოს მოქალაქეებს ჰქონოდათ რუსეთში ლეგალურად მუშაობის უფლება და... ეს ყველაფერი დაკმაყოფილებულ იქნა. ასევე, რამდენჯერაც თხოვნით მივმართეთ რუსულ მხარეს ჩვენი მოქალაქეების გასათავისუფლებლად, ვისაც ელოდა პატიმრობა, ჩვენი ჩარევის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

**დასავლეთის აგენტურისთვის ეს ყველაფერი რასაკვირველია მიუღებელია, თუმცა, ქართველი ხალხისთვის დადებითი მოვლენაა.**

რაც შეეხება ჩემი და ლეონიდ კალაშნიკოვის ერთობლივ ინტერვიუს, ძალიან საინტერესო განცხადებები იყო, მაგალითად, მე ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ქართულ-რუსული მოლაპარაკებების დროს საქართველო სუვერენიტეტს არ კარგავს, როგორც ეს ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, არამედ როგორც ხდება დიპლომატიური დიალოგის დროს, **კომპრომისებისა და ერთმანეთის მიმართ დათმობის პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ მხარეებმა, რაც საერთაშორისო პრაქტიკაა და არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს გარკვეული კომპრომისი, გნებავთ „დიდი კომპრომისი“ საკუთარი მიზნის მისაღწევად. რუსეთის მხარე ამ საკითხს დელიკატურად უყურებს და ეს გამოჩნდა ლეონიდ კალაშნიკოვის განცხადებაში, რომელმაც თქვა, რომ „მოლაპარა-**

**გასაუქმებელია მუხლები NATO-სა და „ევროკავშირში“ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ეს არაა დღეს ქართველი ხალხის ინტერესებში და არც იქ ელოდებიან არც საქართველოს, არც მოლდოვას და უკრაინას, რომელიც კონფლიქტისკენ წააქეზეს და დააქციეს.**

თავისუფალი ტრიბუნა
საქართველოს რესპუბლიკა

**ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ დღეს, უკრაინის კონფლიქტის ფონზე, ჩვენს ხელისუფლებას, მშვიდობის მიმართულებით სწორი ნაბიჯები რომ არ გადაედგა და მტკიცედ, პრინციპულად რომ არ დამდგარიყო, აქ ომი იქნებოდა!!!**

**კეგების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს რუსეთისა და საქართველოს ინტერესები, ასევე, აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესები „ოქროს შუალედის“ პრინციპით, რაც დღეისთვის უკვე შესაძლებელია“** – ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი და გამგებმა უნდა გაიგოს.

რაც შეეხება „ხელშეკრულების გაფორმებას“ – ამას დიალოგის შედეგი გვიჩვენებს, ჩვენ წინასწარ არ გვინდა იმ საკითხებზე ვისაუბროთ, რომელნიც ამ ეტაპზე არაა მიზანშეწონილი, ანუ არ გვინდა მოვლენებს წინ გავუსწროთ და არაკეთილმოსურნეებს კრიტიკის საბაბი მივცეთ.

რაზე შეთანხმდებიან მხარეები, ამას მოლაპარაკებები გვიჩვენებს. ის კი, რომ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი გასაუქმებელია, ამაზე საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხანია საუბრობს და მეც ვიტყვი, რომ გასაუქმებელია მუხლები NATO-სა და „ევროკავშირში“ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ეს არაა დღეს ქართველი ხალხის ინტერესებში და არც იქ ელოდებიან არც საქართველოს, არც მოლდოვას და უკრაინას, რომელიც კონფლიქტისკენ წააქეზეს და დააქციეს.

**ევროკავშირთანაც იგივე ვითარებაა, გაწევრებისთვის ისეთი პირობები მოითხოვეს, ჩვენი ერისა და ბერისთვის აბსოლუტურად მიუღებელია! იგულისხმება ლიბერალური ფასეულობები, ლგბტ პროპაგანდა და ა.შ. ეს პირობები ბრიუსელის ულტიმატუმია, ჩვენთვის კი პრიორიტეტი პირველ რიგში ეროვნული ტრადიციები, წინაპრების დანატოვარი და ქვეყნის ღირსეული მომავალია.**

**აქედან გამომდინარე, ის პირობები, რასაც ევროკავშირი გვიყენებს და ითხოვს ჩვენგან, ეს მართლაც, რომ საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვის გზაა. მეორეს მხრივ, კონსტიტუციაში 78-ე მუხლის არსებობა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით – ეს თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.**

ეს საკითხი შეგიძლიათ კონსტიტუციონალისტებთან დააზუსტოთ და იგივეს დაგიდასტურებენ. პროცედურულად ეს ვერ მოხდება პლებისციტით, ეს უნდა მოწესრიგდეს პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობის გადაწყვეტილებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არჩევნების შემდეგ მოხდება,როდესაც პარლამენტში იქნება საკმარისი დეპუტატების რაოდენობა. კი ბატონო, საზოგადოება ვადამდელ არჩევნებზეც საუბრობს, და ეს, ჩემი აზრით, სწორია, კონსტიტუციის შეცვლა სხვანაირად ვერ მოხერხდება. მე არ ვგულისხმობ რადიკალურ ოპოზიციას და აგენტურას, ისინი არაადეკვატური და გარედან მართული ჯგუფები არიან. მე ვგულისხმობ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ითხოვს 78-ე მუხლის ამოღებას კონსტიტუციიდან. ამიტომ ეს მოთხოვნაც არსებობს და დროზეა გადასაწყვეტი.

ერთმნიშვნელოვნად არავითარი NATO და ევროკავშირი. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარია გვქონდეს ნეიტრალიტეტი, ანუ ნეიტრალური საქართველო.

**– თქვენ „დიდი კომპრომისები“ ახსენეთ და საქართველოში ყველასთვის მტკივნეული თემაა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამასთან დაკავშირებით რა არის მოსალოდნელი დიალოგის დროს, რამდენად რეალურია ტერიტორიული მთლიანობის საკითხების მოგვარება?**

**– დავიწყოთ დიალოგი და ესეც მაშინ გამოჩნდება, მაგრამ კომპრომისების გარეშე ვერ მივაღწევთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საკითხების მოგვარებას ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ვგულისხმობ იმას, რასაც ჰქვია საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი, ისტორიული ტერიტორიები და ვერ დავბრუნდებით იქ, თუ გარკვეულ კომპრომისებზე არ წავალთ. აქვე უნდა აღმოიფხვრას ის მიზეზები, რამაც გამოიწვია რუსეთსა და საქართველოს შორის დაპირისპირება 2008 წელს.**

ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსი ისეთი უნდა იყოს, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს მეზობლების ინტერესებს. როცა გვექნება უსაფრთხოების ხელშეკრულება რუსეთთან, ეს იქნება გარანტია ჩვენი უსაფრთხოებისა. აქვე ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ დღეს, უკრაინის კონფლიქტის ფონზე, ჩვენს ხელისუფლებას, მშვიდობის მიმართულებით სწორი ნაბიჯები რომ არ გადაედგა და მტკიცედ, პრინციპულად, რომ არ დამდგარიყო, აქ ომი იქნებოდა!!!

**– როდის აპირებთ მიმართოთ საქართველოს ხელისუფლებას და როდის დაიწყება პირდაპირი დიალოგი რუსეთთან?**

– ჩვენ ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საერთო ჯამში უკვე გვაქვს 140 000-მდე ხელმოწერა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით, ეს ხელმოწერები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეგროვდა რთულ პირობებში, როცა იბლოკებოდა საიტი და ხალხი თავისი რესურსით აგროვებდა რეგიონებში ხელმოწერას და გვიგზავნიდა. ამიტომ, ჩვენს ხელთ არსებული ხელმოწერების რაოდენობას რამდენჯერმე აღემატება დიალოგის მსურველთა რაოდენობა მოსახლეობაში, ანუ ეს ქართველი ხალხის ნებაა. უახლოეს ხანებში ჩვენ, ანუ გაერთიანება „თავისუფალი ტრიბუნის“ წევრები გავმართავთ შემაჯამებელ კონფერენციას და განცხადებით მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, დაიწყონ პირდაპირი დიალოგი რუსეთთან. დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა, დასავლეთის წნეხის მიუხედავად გამოძებნის რესურსს საიმისოდ, რომ დაიწყოს დიალოგი.

ამ შემთხვევაში საქართველო მოახერხებს იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც ბოლო 33 წელია არსებობს ჩვენს დიდ მეზობელთან, რუსეთთან დაკავშირებით. ამას მოჰყვება ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხების დალაგება ჩვენს სხვა მეზობლებთან. შემდეგ საქართველოს ექნება საშუალება, შეუერთდეს ყველა პერსპექტიულ ფორმატს და მონაწილეობა მივიღოთ რეგიონში არსებულ ყველა ეკონომიკურ პროექტში. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ **რთულ რეგიონში ვცხოვრობთ, აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობით, დამატებით უსაფრთხოების გარანტიებსაც მივიღებთ. ეს კიდევ ვიმეორებ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დიალოგის პროცესი დაიწყოს. მხოლოდ დიალოგი მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და გაბრწყინდება!**

ესაუბრა
**რუსუდან ქობულაძე**

---

**ხელისუფალნო, ერო და ბერო, ჩემო მკითხველო!**

უმორჩილესად გთხოვთ, მოუსმინოთ მოსკოვში **მამუკა ფიფიას,** თბილისში კი **ლაშა ქიტიაშვილს** და კეთილგონიერ, თხემით ტერფამდე ქართველ მამულიშვილებს, **დავით თარხან-მოურავს, ჯონდი ბაღათურიას, ლევან ვასაძეს** და სხვა მრავალს.

# გულიდან ამოხეთქილი ვარამი

**ახლა სწორედ ის დროა, რომ გამოვასწოროთ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები, ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთ რუსეთთან გაბუტვა, ამ უზარმაზარი ქვეყნის ლანძღვაგინება, დავიწყოთ მის ხელისუფლებასთან დიალოგი.**

ნაცების ბრბოს უსაქციელობას როდემდე უნდა ვუყუროთ და მათ შეურაცხმყოფელ ბღავილს და ბილწსიტყვაობას როდემდე უნდა ვუსმინოთ. ევროკავშირი დეგრადირებულია, საქართველოს დაუძინებელი მტერი, უტიფარი ურსულა ფონ დერ ლაიენი პერსონა ნონგრატად გამოსაცხადებელია.

ჩვენ თუ სამართლიან ქვეყანას ვაშენებთ, მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები უნდა მოვაგვაროთ და გადავწყვიტოთ!

განა ასეთი გაუგებარი უმოქმედობით და უნიათობით გვეშველება რამე?

რუსეთს შეუძლია ყველა ჩვენ უახლოეს მეზობელთან პრობლემის მოგვარება – თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან.

ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ისტორია, უმორჩილესად გთხოვთ, კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხოთ. დარწმუნდებით, რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული მას საქართველოსთვის.






რუსეთი გვეუბნება, დაელაპარაკეთ აფხაზებს და ოსებს, ჩვენც დაგეხმარებით სადავო საკითხების მოგვარებაში!

სამწუხაროდ, მეზობლები ისედაც ჩვენი მიწა-წყლის, სახნავ-სათეს და მოსავლიანი მიწების წაგლეჯაზე ფიქრობენ. ჩვენი ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი კი ამ სანუკვარ მიწებს მომეტებულად მუსულმანებზე ყიდიან. ერთ დროს საქართველოს მიწა 870 000 კვ. კმ. იყო. ახლა კი – 69 700 კვ. კმ-ია.

უვიცებს არ უყვართ სიმართლის გაგონება. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა დემოგრაფიული კრიზისი და ნარკომანიაა.

სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს ჩვენი ახალგაზრდობის დამღუპველი და გამაუბედურებელი მუსულმანი „ბიზნესმენების“ ღამის კლუბები და კაზინოები, ჩვენი ბიუჯეტის სამარცხვინო შემავსებლები; სასწრაფოდ უნდა შეწყდეს მიგრაციის ლიბერალური პოლიტიკა. თითო-ოროლა შემოპარული მიგრანტის ქვეყნიდან გაძევება და ნარკობარიგის დაპატიმრება არავითარ შედეგს არ მოგვცემს, ნუთუ ეს სადავოა?!

ხშირად ჩვენს ქვეყანაში უკანონობის დაკანონება ხდება – ეს დაუშვებელია! სააკაშვილი, ნაცების პაატა – ბანი და ანიტა ხაზეიშვილი ქართულ ჯარს და პოლიციას მოუწოდებენ, 4 ოქტომბერს შეიარაღებულებმა დაამხონ ჩვენი ხელისუფლება და ამ ვიგინდარების და გარეწრების მოწოდებებს ხელისუფლება და ადმინისტრაციული (ძალოვანი) სტრუქტურები ოლიმპიური სიმშვიდით ისმენენ, მაგრამ არ რეაგირებენ. ერთობ ცოტაა ხაზეიშვილის და ზოდელავას დაკავება. ისინი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

**საქართველო მხოლოდ სარწმუნოებამ და ჩვენი მადლიანი მიწის სიყვარულმა გადაარჩინა. მიწისა, რომელიც მორწყულია ჩვენი წინაპრების სისხლით. ამ ფენომენს კი გაფრთხილება სჭირდება.**

**ამ აბოგოქრებულ უსამშობლო აგენტებს, უფრო კონკრეტულად, სალომე ზურაბიშვილს და თინა ხიდაშელს – ამერიკაში რო ჩაფრინდნენ დასაბეზღებლად და „მეგობარი აქტის” მხარდასაჭერად, გაეგებათ რამე?**

**ისინი საქართველოს უგოროტესი მტრები არიან და ქვეყნიდან უნდა გავაძევოთ!**

**ომარ მარგველაშვილი,**

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ნიკო ნიკოლაძის და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი, მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი.





# სოსო მანჯავიძე: კლასიკური გეოპოლიტიკის კანონზომიერებანი თანამედროვე ეპოქაში

## ნიადაგის გავლენა ნიადაგის ხალხზე (მიწა)

**მაგალითად, ჰაუსჰოფერს სჯეროდა, რომ ბრიტანეთის იმპერია დაკნინებასთან ახლოს იყო და მსოფლიო ლიდერობა თანდათან უნდა გადასულიყო კონტინენტურ სახელმწიფოებზე და, უპირველეს ყოვლისა, გერმანიაზე. გერმანელებისთვის „საცხოვრებელი სივრცის" გაფართოების აუცილებლობა ერთმნიშვნელოვნად უბიძგებს გერმანიას ტერიტორიული გაფართოებისაკენ, ძირითადად, აღმოსავლეთში. ამასთან, ჰაუსჰოფერი ფიქრობდა, რომ ბრიტანეთის იმპერია მაინც უნდა დარჩენილიყო გერმანიის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში.**

ნაცისტურ გერმანიაში, ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკა უკიდურესად მოდური გახდა და მისტიური ყურადღება შეიძინა. თავად ჰაუსჰოფერს ჰქონდა რეპუტაცია, რომ ის იყო „ადამიანი ჰიტლერის უკან", რაც სრულიადაც არ შეესაბამებოდა რეალობას. მაგალითად, ფიურერმა გამოიყენა გეოპოლიტიკის თეორიული ასპექტები, ნაცისტური ექსპანსიის რაციონალისტური ახსნა. მაგალითად, მან ჰაუსჰოფერისგან ისესხა თავისი საყვარელი გამოთქმა: „სივრცე, როგორც ძალის ფაქტორი".



**ალფრედ ტაიერ მეჰენი** (1840-1914) იყო შეერთებული შტატების საზღვაო ოფიცერი და ისტორიკოსი, რომელსაც ჯონ კიგანმა უწოდა „მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკელი სტრატეგი". მისმა წიგნმა – **„საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე"**, 1660-1783 (1890) გამოცემიდან მალევე მოიპოვა აღიარება, განსაკუთრებით ევროპაში, ამ წიგნის გაგრძელება იყო მეჰენის შემდეგი შრომა – „საზღვაო ძალის გავლენა საფრანგეთის იმპერიაზე და რევოლუციაზე" 1793-1812 (1892), რომელმაც გახადა იგი მსოფლიოში ცნობილი და, ალბათ, მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ავტორი.

ალფრედ ტაიერ მეჰენის მიერ დამუშავებულმა „საზღვაო ძლევამოსილების" კონცეფციამ უდიდესი გავლენა




**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" №122-123, 125**

იქონია აშშ-ს, როგორც საზღვაო იმპერიად ჩამოყალიბებაში, რაზეც დაწვრილებითი საუბარი გვექნება ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთ თავში, რომელიც აშშ-ს გეოპოლიტიკურ თავისებურებებს შეეხება.

რუსი გეოპოლიტიკოსის, **ალექსანდრე დუგინის** განმარტებით, „გეოპოლიტიკა, თავისთავად, წარმოადგენს კომპლექსურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ, სტრატეგიულ, სოციოლოგიურ მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობების ინტერპრეტაციით, პრინციპული და გარდაუვალი ცივილიზაციური დუალიზმის – თალასოკრატიისა და თელუროკრატიის საფუძველზე". ამასთან, ის განიხილავს გეოპოლიტიკას, „როგორც დისციპლინას, რომელიც განლაგებულია ორი მეცნიერების, პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის გადაკვეთაზე". ზოგადად, გეოპოლიტიკური სივრცის განზომილება განისაზღვრება სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური სიმძლავრის გავრცელების საზღვრებით. ამავე დროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკური პროცესების ცივილიზაციურ ჭრილში და ისტორიულ დინამიკაში განხილვას. კერძოდ, მიუხედავად თავისი ბიოლოგიური არსებობის სრული განპირობებულობისა დედამიწის გეოგრაფიული ლანდშაფტისა და კლიმატისაგან, ადამიანი ნებელობს და მოქმედებს გეოგრაფიულ არეალებში საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად, ქმნის ერთობებს, იდენტობებს, იყენებს არსებულს და ითვისებს ახალ რესურსებს, იბრძვის სივრცის მოწესრიგებისა და კონტროლისათვის, რის გამოც განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებს სხვა გაერთიანებებთან, აგროვებს ინფორმაციას გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული წარსულის შესახებ, შეიმუშავებს ღირებულებებს და ქმნის კულტურულ ფასეულობებს. ცხადია, ექსტრემალურ გეოგრაფიულ გარემოს აქვს იმპერატიულად განმაპირობებელი ხასიათი, მაგრამ გარკვეულ და კეთილისმყოფელ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში, ადამიანებს შეუძლიათ თავისი პოტენციალის გამოვლენა და ისტორიული ქმნადობის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა.

დედამიწის ისტორიულ-პოლიტიკურ პროცესზე უდიდეს გავლენას ახდენს კონტინენტები, ოკეანეები, ზღვები, მდინარეები, კლიმატი, ფლორა, ფაუნა. ორგანული და არაორგანული გარემო არის ის თეატრი და დეკორაციები, რომლებშიც მიმდინარეობს კაცობრიობის პოლიტიკური ისტორიის სპექტაკლი.

თითოეულ საზოგადოებას ყოფიერების საკუთარი ვერსია აქვს, რომელიც დიდწილად განაპირობებს მის მიერ გეოგრაფიული გარემოს აღქმის სპეციფიკას, ამიტომ ამა თუ იმ ცივილიზაციურ პარადიგმაში აღმოცენებული ვერსიების ექსტრაპოლირება საერთო კანონზომიერებათა რანგში, არაობიექტურობის დიდ რისკს შეიცავს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი, თავისთავად, არ არიან უფრო ზოგადი კანონზომიერების შემადგენელი ნაწილები. კანონზომიერება კი იმაში მდგომარეობს, რომ ცივილიზაციები მათი სამხედრო პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროს განიხილავდნენ სამყაროს ცენტრად და გეოგრაფიულ გარემოს სწორედ ამგვარი რაკურსით განიხილავდნენ. მაგალითად, დროში ერთდროულად არსებული ჩინური, რომაული და ტოლტეკური ცივილიზაციები, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ, თავიანთ ჰაბიტატს სამყაროს ცენტრად მიიჩნევდნენ და ამ წარმოდგენების შესაბამისად მოქმედებდნენ. იგივე სურათს ვხედავთ ეგვიპტური, ინდური თუ ბერძნული ცივილიზაციების შემთხვევაში.



ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ გასული საუკუნის დასაწყისში შემუშავებული გეოპოლიტიკური დოქტრინები დასავლეთის ცივილიზაციური პარადიგმის ჭრილშია განსახილველი და ვინაიდან ეს ცივილიზაცია დომინირებს პლანეტაზე გლობალიზაციის პირობებში, აღნიშნულმა დოქტრინებმაც მიიღეს გლობალური მნიშვნელობა.

* * *

**დღესდღეობით ბევრი გეოპოლიტიკოსი კლასიკურ გეოპოლიტიკას მარტივად მიიჩნევს, ისინი თვლიან, რომ გეოპოლიტიკაში არ არსებობს საერთო კანონზომიერებები, რომლებიც იმ სახით მოქმედებენ, როგორც ამას გეოპოლიტიკის ფუძემდებლები მიიჩნევდნენ, რომ არსებობენ მხოლოდ ფენომენალური გამოვლინებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ ვითარებას.**

ამასთან გამოვლინების შესაძლო კომბინაციები ძალზე განსხვავებულია და სპეციფიკური, თუმცა გეოპოლიტიკოსები, რომლებიც უშუალოდ ამუშავებენ სახელმწიფოების სტრატეგიებს და დოქტრინებს, მიიჩნევენ, რომ კლასიკური გეოპოლიტიკის მიერ აღწერილი კანონზომიერებები დღესაც აქტუალურია და იძლევა საშუალებას, რომ მათ საფუძველზე შემუშავდეს შესაბამისი გეოსტრატეგია და პოლიტიკა. როგორც ამერიკელი გეოპოლიტიკოსი **ჰ. გოლდუინი** წერს – **„მაკინდერის და სფაიქმენის გეოპოლიტიკური კონცეფცია ძირითადად დარჩება სწორ მიმართულებად მომავალშიც".**

იგივე მოსაზრებას იზიარებს **ზბიგნევ ბჟეზინსკი**. იზიარებდა რა მაკინდერის ფორმულას, რომ „ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს შუაგულ მიწაზე, ხოლო ის, ვინც ბატონობს შუაგულ მიწაზე, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე", იგი, როგორც სტრატეგი, აშშ-სა და დასავლეთის ძალისხმევას სწორედ ამ მიმართულებით მიმართავდა. ბჟეზინსკი მიიჩნევდა, რომ „გეოპოლიტიკამ წინ წაიწია რეგიონალური აზროვნებიდან გლობალურისკენ... ამასთან უპირატესობა მთელ ევრაზიულ კონტინენტზე ენიჭება ცენტრალურ საფუძველს, გლობალურ მეთაურობას". კლასიკური გეოპოლიტიკის საფუძვლებს ეყრდნობა თანამედროვე გეოპოლიტიკის მეორე დიდი წარმომადგენელი **ჰ. კისინჯერიც**, რომელმაც **ს.კოენის** „დისკონტური სარტყელის" კონცეფცია გამოიყენა ევრაზიის სანაპირო ზონების „შეკვრის" თეორიული დასაბუთებისათვის და ამის საშუალებით „საბჭოთა ევრაზიაზე" ატლანტიზმის სრული კონტროლის უზრუნველსაყოფად.

ამ დოქტრინამ „რგოლის" (The Ring) სახელწოდება მიიღო, რომელიც „ანაკონდას სტრატეგიის" დაზუსტებულ, დახვეწილ ვარიანტს წარმოადგენდა. ჰ. კისინჯერის აზრით, „გეოპოლიტიკური კანონებით რუსეთს, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ მართავს მას, მკაცრად უკავია ის ადგილი, რომელსაც **ჰელფორდ მაკინდერი** უწოდებდა გეოპოლიტიკურ „შუაგულ მიწას"-HEARTLAND-ს და წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი იმპერიული ტრადიციის მემკვიდრეს". შესაბამისად, ანგლო-საქსური გეოპოლიტიკის ძირითადი ტენდენცია, რომლის თეორიული საფუძვლებიც შეიმუშავეს ჰ.მაკინდერმა და ნიკოლას სფაიქმენმა და რომლებიც ასახავდნენ საზღვაო და სახმელეთო იმპერიების ბრძოლის რეალიებს, დღესაც აქტუალურნი არიან, ვინაიდან არ შეცვლილან ისტორიის აქტორები, თუმცა იცვლება მასშტაბები და ტექნოლოგიები. თუ მე-19 საუკუნის ინგლისის საზღვაო იმპერიის მთავარი ამოცანა იყო, არ დაეშვა საფრანგეთ-რუსეთის, შემდეგ რუსეთ-გერმანიის უნია, რაც მან წარმატებით მოახერხა, დღეს იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ნატო, რომლის მთავარი მიზანია, არ დაუშვას რუსული და შემდგომ საბჭოთა იმპერიის კვლავ გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპაში და რუსულ-ჩინური ალიანსის ჩამოყალიბება აზიაში. ეს ბრძოლები მიმდინარეობს სხვადასხვა იდეოლოგიური საფარის ქვეშ, რომლებიც უმეტესწილად წარმოადგენენ გლობალური დომინირებისკენ მისწრაფების მიმიკრიას. დღეს სამხრეთ კავკასიის რეგიონი ამ ბრძოლის ეპიცენტრშია, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორად გავიგოთ გეოპოლიტიკური რეალიები და შევიმუშავოთ ადეკვატური მიდგომები.

შევეცდებით, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ჰ.მაკინდერის გეოპოლიტიკა მისი გეოპოლიტიკური რუკებისა და თეზისების მიხედვით. ჰ.მაკინდერის გეოპოლიტიკური მეცნიერების (გეოპოლიტიკას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას მან დაუდო საფუძველი) მიხედვით, მსოფლიოს ცენტრში მდებარეობს ევრაზიის კონტინენტი, ხოლო მის ცენტრში „შუაგული მიწა" – ეს არის ევრაზიის კონტინენტურ მასათა თავმოყრა, რომელიც ყველაზე მოსახერხებელი გეოგრაფიული პლაცდარმია მთელ მსოფლიოზე კონტროლის დასამყარებლად. „შუაგული მიწა" საკვანძო ტერიტორიაა უფრო ზოგად კონტექსტში, „მსოფლიო კუნძულის" ფარგლებში. „მსოფლიო კუნძულში", ჰ. მაკინდერი აერთიანებს სამ კონტინენტს – აზიას, ევროპასა და აფრიკას.

XX საუკუნის დასაწყისში ჰ.მაკინდერმა კონცენტრირებული წრეების სისტემათა მეშვეობით ჩამოაყალიბა მსოფლიო გეოპოლიტიკური რუკა, ანუ სივრცის იერარქია: ცენტრში „ისტორიული გეოგრაფიული ღერძი", ანუ „ღერძული არეალი", რომლითაც ჰ.მაკინდერმა აღნიშნა ევრაზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაახლოებით 15 მლნ კმ2-ზე მეტი ფართით, რომელიც თითქმის იმეორებდა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის წყალშემკრები აუზისა (გარდა თეთრი ზღვისა და ბარენცის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისა) და ცენტრალური ევრაზიის უწყლო აუზის (მათ შორის კასპიისა და არალის ზღვების აუზები) კონტურს. ასევე ის ტერიტორიები, რომლებიც ერთიანობაში დაახლოებით ემთხვეოდა რუსეთის იმპერიის, შემდგომში სსრკ-ის ტერიტორიებს.

ამ ტერიტორიის სამხრეთ ნაწილს გასდევს სტეპების სივრცე, სადაც საუკუნეების განმავლობაში ბინადრობდნენ ძლიერი, მობილური მომთაბარე ხალხები. ამ ტერიტორიას არ გააჩნია მოხერხებული სატრანსპორტო გასასვლელები მსოფლიო ოკეანეში, გარდა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანისა, რომელიც პრაქტიკულად მუდმივად დაფარულია ყინულით. ჰ.მაკინდერი „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს" („შუაგული მიწა") ანიჭებდა დიდ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას მისი ბუნებრივი რესურსების გამო. მაგრამ ის მიუღწეველი იყო დიდი ბრიტანეთისა და სხვა საზღვაო იმპერიების სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტისათვის (საზღვაო ცივილიზაციის ძლიერების საფუძველი), რაც ამჟამადაც ასეა.

მის მოგვიანებით შექმნილ ნაშრომებში (ასევე მისი მიმდევრების ნაშრომებში) „შუაგული მიწის" გეოგრაფიული საზღვრები რამდენადმე შეიცვალა. კერძოდ, 1919 წელს დამატებით იქნა შეტანილი აღმოსავლეთ ევროპული „სტრატეგიული ჰარტლენდი", რომლის ტერიტორიაშიც შეიყვანა შავი ზღვის აუზი (გარდა მცირე აზიისა) და ბალტიის ზღვის აუზი, რამდენადაც ეს ზღვები ოკეანეებთან დაკავშირებულია ვიწრო სრუტეებით და შეიძლება მათ რომელიმე სახელმწიფო აკონტროლებდეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მიმდევრები ამ რეგიონის საზღვრებს თავისებურად განიხილავდნენ, თითქმის ყველა მკვლევარი ჰარტლენდს მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო ადგილად მიიჩნევდა.

**(გაგრძელება იქნება)**

საქართველოს რესპუბლიკა



**დავით ახლოური,**
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

# ვისწავლოთ, ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს

## აწრისხეველი მოხუცები

**აწრისხევი ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, ისტორიულად ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, იგი XIV საუკუნეში მეფე ვახტანგ III-მ ერთგულებისთვის ქსნის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს უბოძა. მოგვიანებით აქ შანშე ერისთავმა ციხე ააგო და XVIII საუკუნეში ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენად აქცია. შემდეგ ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფელი ცხინვალის რაიონს დაუქვემდებარეს. 2008 წლიდან ოკუპირებულია.**

**„ვისაც კი უნახავს აწერის ხევი, მის(ი) მშვენიერი მდებარეობის ნახვით აღტაცებაში მოდის. 40 კომლს მთის ქართველებს გაუშენებიათ თავიანთი სოფელი კავკასიონის მაღალ მთებშუა, შიგ ოსების სოფლების კრიჭაში. წინ ჩამოუჩანჩქარებს პატარა ლიახვი, და გარშემო აყრილ ტყეში ზის“** – წერდა 1897 წლის 5 დეკემბრის გაზეთი „ცნობის ფურცელი“. მართალაძის ფსევდონიმინით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სოფლის განსაკუთრებულ ჰავასა და აქ მაცხოვრებელთა „განთქმულ ჯანმრთელობაზეცაა“ საუბარი. ადგილობრივი მღვდლის მონათხრობით, თორმეტი წლის მანძილზე, რაც ამ სოფელში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა, ოთხზე მეტი მიცვალებული არ ჰყოლია დამარხული: **„ერთი მათგანი მოკლესო, მეორე რაღაც სნეულებით გარდაიცვალაო, რომელიც მოჰყვა ყარსიდანო და ორს კი ლოთობის შემდეგ ფილტვების ანთება მოსვლოდათო. მართლაც განსაკვირველია, შედარებით არსად არ მინახავს ამდენი სიბერით დახავსებული ბებრები როგორც აქა“**. მოხუცებს ძალიან ჰყვარებით აღრინდელი ამბების გახსენება, „ერთი-ერთმანეთს აღარ აცლიანო“. იხსენებდნენ თურმე ძველებურ ამბებს და საუბრობდნენ საუკუნის წინანდელ ლეკების საქართველოში თარეშსა და ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებაზე. უფრო „ოსიანობა“ აწუხებდათ აქაურებს, ამიტომაც წერს მართალაძე – ოსების სოფლების კრიჭაშია მოქცეულიო. როცა ოსები დაგვესხმოდნენ თავს, გავარდებოდა ხმა მდევრისა და ბიჭები ისე დავეცემოდით, როგორც მეხი და იმათი საცოდაობით ცა და დედამიწა იწოდაო – ყვებოდნენ მოხუცები და კიცხავდნენ ახალგაზრდებს: **„ეხლა რა ხართ? შემოვა ორი მუნიანი ქურდი ოსი სოფელშიაო, თქვენ თვალწინ გტაცებთ საქონელსა და შიშით ხმას ვერა სცემთო. გარბიხართ ორმოცი ვერსის მანძილზე ბოქაულთან და სინამ არ მოგეშველებათ, ქურდმა ცხრა მთა გადაატარა შენი ხარიო“**. ძველების აზრით, უნდა შეყრილიყვნენ, გამოდგომოდნენ მდევარს და სადაც წამოეწეოდნენ, თუ მოკვლის ნება არ ქონდათ, შეეკრათ, დაეთრიათ და ჩამოეტანათ „ამ ოხერ სოფელში“. მხდალი იყო მათი დაკვირვებით „ქურდ-ბაცაცა ოსი“, შეეშინდებოდა და ვეღარ გაბედავდა ქართველთა სოფლებში თარეშს.

სინანულიც ჩანს აწრისხეველი მოხუცების ნაამბობში გარდასული ახალგაზრდობისა და ჩავლილი დროის გამო, განრისხებაც ჩანს ყაჩაღთა მიმართ და ერთგვარი უიმედობაც მომავლისა. დაასრულებს „მოხუცი თავის ლაპარაკს და ერთს ისეთსა ამოიოხრებს, რომ თითქოს გულის სატრფო მოჰკდომიაო“...

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125

## ქართლელი გლეხის სახლ-კარი

**XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში ვხვდებით პუბლიკაციებს „გლეხი ვანოს“ ფსევდონიმით. იგი, ძირითადად, „ისართან“ თანამშრომლობდა. 1909 წლის ორ ივნისს „ისარის“ კორესპონდენტი აგლაძის „დროებაში“ აქვეყნებს წერილს ქსნის ხეობის შესახებ.**

ავტორი გულდაწყვეტილია ხეობაში არსებული მძიმე სოციალური ფონისა და ხალხის გაცრუებული იმედების გამო: **„დღემდის ცოტათი მაინც უღვიოდათ გულში იმედი და რაღაცას ელოდნენ, მაგრამ დღეს ეს იმედიც გაჰქრა, რადგან ის მოწინავე პირნი, რომელნიც იმედს აძლევდნენ ხალხს, რეაქციას სათავეში ჩაუდგნენ და იწყეს თარეშობა ისედაც გაყვლეფილ გლეხობაზეო“**.



წერილი ქსნის ხეობელთა ეთნოგრაფიული ყოფის წარმოჩენითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას. საუბარია მცხოვრებთა საცხოვრებელ სახლებზე, ჩაცმულობასა და საკვებზე: **„ბუნებამაც უღალატა გლეხს და ლამის ისე დაიღუპოს, რომ ლუკმა პურიც-კი გაუწყდეს. ადამიანი გულქვა უნდა იყოს, რომ გულ გრილად უცქიროს გლეხთა აუტანელ მდგომარეობას. ვისაც კი თვალით უნახავს მათი ცხოვრება, დამემოწმება, რომ აუტანელი რამეა აქაური ყოფა. ერთი პატარა მიწური ანუ მშრალ ქვით აშენებული სახლი მაღლა მთის წვერზე. შიგ სცხოვრობს 20-25 სული. ამათ მამულს შეადგენს აქა-იქ თითო საჟენი მოთხოჭნილი მიწა. ყველანი ტიტველნი არიან. ქალები სირცხვილით იმალებიან, როდესაც მიხვალთ, რადგან ტიტველნი არიან. ბავშვები ხომ ნუღა იტყვით. ღამე წვანან კერასთან, (შუა ცეცხლი იციან). კონკებში სჭამენ პურს ცხელი ნაცარში გამომცხვარს. ისე სოფელში ვერ შეხვალთ, რომ ორი კომლი მაინც ნახოთ ჯან-საღი. ყველას ფილტვები დასუსტებული აქვს და უდროვოდ ესალმება წუთისოფელს“**.

„დროების“ კორესპონდენცია გვახსენებს კიდევ უფრო მძიმე სურათს ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის პუბლიკაციაში აღწერილი ქართლელი გლეხის საცხოვრისისა: **„ქართლელ გლეხის ოჯახს შეადგენს ნახევრათ მიწაში ჩადგმული მინგრეულ-მონგრეული ულამაზოთ და უსუფთაოთ აგებული ბოსელი. როდესაც მასპინძელს მიყევხართ სახლში, გეგონებათ, პირუტყვების დასაბამ საბძელში მივყევარო. მართლაც ამ ღარიბ საბძელში თუ ბოსელში ოჯახის წევრები და საქონელი ერთათ ცხოვრობენ, ერთათ ძინავთ, ერთათ მუშაობენ მინდორ-ველშიაც. ლოგინი საერთო, ქვეშაგები უმეტესათ ჭილოფის ლეიბისაგან, საბანი ზოგს აქვს, ზოგს სალდათის შინელი ხურავს, რომელსაც დღისით ტანისამოსათ ხმარობს. ტანისამოსი დაგლეჯილი... ცხოვრობენ თითო ოჯახი ერთმანეთთან ძალიან ახლო, ისე, რომ გასავალი არა აქვთ. უზომო სიღარიბეს, საცხოვრებელ ბინის სივიწროეს, შეხუთულ ცხოვრებას, რასაკვირველია გლეხისთვის შესაფერისი ელფერი გადაუკრავს პირისახეზე“**.

პუბლიკაციებში ასევე საუბარია იმ გადასახადებზე, რომელიც ასეთ მძიმე ყოფაში ჩავარდნილ გლეხებს მებატონეთა სასარგებლოდ ჰქონდათ დაკისრებული: „ქართლში ცხოვრობენ დროებით ვალდებულნი, ხიზნები, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და საუფლისწულო გლეხები, ესენი მუშაობენ სხვების მიწაზე და აძლევენ გადასახადს ჭირნახულით და ფულით“ – წერდა „მოგზაური“. „დროების“ ინფორმაციით კი ქსნის ხეობის მოსახლეობას მძიმე დაღად აჩნდა ზაფხულის მოსვლისთანავე გაჩენილი „ტიფი“ (ინფექციური გადამდები დაავადება, რომელიც იწვევს ძლიერ ცხელებასა და ცნობიერების მოშლას), რომლის გამოც ყველა ოჯახში იყო 2-3 ავადმყოფი. გლეხების გაჭირვებას არავინ აქცევდა ყურადღებას, მათი კარის წინ ყოველდღე მდგარი ჩაფრები „თავისას“ ითხოვდნენ, მათ ემატებოდათ მემამულე და მღვდელი. სამი მთავრობის მამასახლისი ყოფილა ქსნის ხეობის ტერიტორიაზე – ახალგორში, მონასტერში და ზახორში. თითეულ მათგანს ექვსი ჩაფარი ჰყოლია. მამასახლისისთვის ყოველთვიური გადასახადი თვეში 45 მანეთი იყო, ჩაფარისთვის – 25 მანეთი, მწერლისთვის – 30 მანეთი. კანცელარიის ქირა – 8 მანეთს შეადგენდა, მოსამსახურის – 7 მანეთს. მთავრობის მამასახლისს (თავის ჩაფრებით, მწერალით და მოსამსახურით) 720 მანეთი მიჰქონდა, წელიწადში სულ 8640 მანეთი. „ეს ფული გაჭირვებულ ხალხისთვის დიდი შემწეობა იქნებოდაო“ – მართებულად შენიშნავდა ავტორი, რომელსაც ხალხის უმწეობასთან ერთად, არანაკლებ აფიქრებდა სკოლების არქონა.

## მზვარეთის ტრაგედია

**მზვარეთი ქსნის ხეობის სოფელი იყო, დასახლებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მიეკუთვნებოდა გორის საზოგადოებას.**

1860 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით მზვარეთში ცხოვრობდა 3 კომლი, 10 მამრობითი სქესის და 6 მდედრობითი, ოსები, მართლმადიდებელი ქრისტიანები. შალვა ერისთავის ქალიშვილის კნეინა მარიამ ჭავჭავაძისას ყმები იყვნენ ჟამურის ხეობიდან გადმოსახლებული თოგოშვილები, 3 კომლი, 6 მამაკაცი, 3 ქალი; გენერალ-მაიორ თავად ივანე ორბელიანის მეუღლის კნეინა ნინოს მამულზე ცხოვრობდნენ სოფელ ციხიდან მოსული ლაზარაშვილები – 3 მამაკაცი, 2 ქალი, კონა მირმანოზის ძე ერისთავის – სოფელ ხოფიდან მიგრირებული ბიგანაშვილები, 1 მამაკაცი, 1 ქალი.

1886 წლის აღწერის მონაცემებით მზვარეთში 6 კომლი ცხოვრობდა, 32 მამაკაცი, 31 ქალი.

XX საუკუნის საკავშირო აღწერების დროს სოფელი ამ სახელწოდებით აღარ გვხვდება.

სულხან-საბას განმარტებით, მზვარე, მზუარე მზის მდეგი ადგილი იყო. თუმცა, რა ტრაგედიაც ამ სოფელში 1910 წელს დატრიალებულა, ნიაღვარს უკავშირდება.

„სახალხო გაზეთის“ 13 ივლისის ნომერი გვამცნობს იმ ენით გამოუთქმელი უბედურების




აწრისხევი. ღმრთისმშობლის (წმ. მარიამის) ეკლესია

შესახებ, რომელიც ქსნის ხეობას 3 ივლისს დაატყდა. როგორც წერილის ავტორი (ფსევდონიმით „ქსნელი“) გვამცნობს: **„საზღაპრო ნეშტის ოდენა სეტყვამ და არა ჩვეულებრივმა ნიაღვარებმა თავზარი დასცეს ამ ხეობას. რამდენსამე სოფელს ვენახი, ბოსტნეული თუ ჯერათ მოუმკალი პური, ქერი, მიწის პირით განერთხა, უფრო მეტი სრულიად წალეკა, ისე რომ რამდენიმე სოფელში სამანიც აღარა ჩანს ყანისა, აბა რა სიკეთე დაეყრებოდა ადამიანის ნამუშევარს, როცა გარეშემოტყეები თითქმის ჩაიჩეხა, ჩამოიყვლიფა, ასწლოვან მუხებს ვებერთელა ტოტები შამფურივით ჩამოეწვეთათ და ფოთლის ნახვა ხეზედ ნატვრით სანატრელიღაა. არამც თუ კარმიდამოზედ, მინდვრებში, თვით ტყეშიაც ბალახის ღეროსაც ვეღარ ნახავთ. გაისმის ყველგან ვაი და ვუი, ოხრავს დიდი და პატარა... რომელი ერთი აიტანოს, ჭირნახულის დაკარგვა, ვენახების განადგურება, სახნავების წალეკვა, თუ პირუტყვი საქონლის პირში ჩალის გამოვლება. მწარეა ეს საერთო სურათი ამ სოფლებისა, მაგრამ უფრო დამტანჯავია ხვედრი სოფელ მზვარეთისა და წიფლის წყაროსი, რომელთაც ბუნებამ არ აკმარა ეს საერთო დასჯა და მოითხოვა ადამიანთა და პირუტყვთა მსხვერპლი“**.

ნიაღვარს ადამიანთა მსხვერპლი სწორედ მზვარეთში მოჰყოლია. აქ მცხოვრები ალექსი თვაურის სახლის უკანა კედელი და სახლის წინა ფიცრული გაუგლეჯია, გაუნგრევია საქონლის სადგომად განკუთვნილი ბაკის წნულიც და იქვე ახლოს აბობოქრებულ სხვა ნიაღვარს შეერთებია. ამ დროს სახლში ყოფილა დედა სამ პატარა შვილთან და მაზლიშვილთან ერთად: **„ნიაღვრისაგან სახლიდგან გამოტაცებული დედა შემთხვევით შემოეხვია დერეფნის ბოძს, და როგორც იყო ცოცხალ-მკვდარი გადარჩა. ქორფებიდგან სამი ერთი დედისა როგორც იყო იპოვნეს სახლშივე ჭერამდენ დადებულ სეტყვა-ყორეს ქვეშ. მეოთხე კი ჯერ არა სჩანს. გამწარებული ამისი დედა ასდევს-ჩასდევს ხევს და მისტირის თავის ქორფას. ამ გვარად ოთხი მსხვერპლი ერთი ოჯახიდან“**.

(გაგრძელება იქნება)


სახალხო გაზეთი

# ევროპული უსაფრთხოების გარანტიები უკრაინისთვის

გრიტანულ ყოველკვირეულ ჟურნალ **„ნიუ სთეითსმენში“ (New Statesman)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ევროპული უსაფრთხოების რეალური გარანტიები უკრაინისათვის“** (ავტორი – **ქეით სტალარდი**, პოლიტიკური მიმომხილველი).

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებული სახით:**

THE NEW STATESMAN

The real question about European security guarantees for Ukraine

Vladimir Putin has warned that any foreign troops in the country would be "legitimate targets".

By Katie Stallard



**საფრანგეთის** პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** 4 სექტემბერს პარიზში გამართულ „უკრაინისადმი დახმარების მსურველთა კოალიციის“ სამიტზე გამოაცხადა, რომ

**26 ევროპული ქვეყანა თანახმაა მშვიდობის დამყარების შემდეგ უკრაინის ტერიტორიაზე თავიანთი ჯარები განათავსონ, „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების“ სახით.**

**ვლადიმერ პუტინის პასუხმაც არ დააყოვნა:**

**„თუ უკრაინაში გრძელვადიანი მშვიდობა დამყარდება, რაღა საჭირო იქნება უსაფრთხოების ძალების განლაგება? საერთოდ კი, როცა უკრაინაში რაიმე სამხედრო ძალები გამოჩნდებიან მანამ, სანამ იქ საომარი მოქმედებები გრძელდება, ჩვენ მათ კანონიერ სამიზნეებად ჩავთვლით და გავანადგურებთ“.**

რუსეთის პრეზიდენტი აშკარად ცდილობს დასავლელი ლიდერების დაშინებას და მათ დარწმუნებას, რომ გადახედონ თავიანთ განზრახვებს უკრაინაში ჯარების განთავსებაზე. ვლადიმერ პუტინი ტრაბახობს და დასავლეთს კუნთებს აჩვენებს, მაგრამ თვითონაც არ არის დარწმუნებული, მზად იქნება თუ არა იგი ნატოს ევროპელ ბირთვულ სახელმწიფოებთან – დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან, პლუს ალიანსის სხვა წევრებთან – პირდაპირი კონფლიქტი დაიწყოს.

და მაინც, ორივე მხარისაგან – ნატოს ევროპელი წევრებისგან და რუსეთისაგან – ბლეფის ელემენტი ნამდვილად არსებობს. განა ნამდვილად უნდა გვჯეროდეს, რომ დასავლელი ლიდერები ამჟამად მზად არიან უკრაინის დასაცავად, რუსეთთან ომის დაწყებით, თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლით რისკი გასწიონ? თუ გავითვალისწინებთ ბოლო დროის მძაფრ დებატებს კიევის დასახმარებლად ტანკებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის გაგზავნის შესახებ, ვლადიმერ პუტინს სრული საფუძველი ექნება ეჭვი შეიტანოს ევროპელი ლიდერების გაბედულებაში – იარაღით დახმარებაზე ამდენს დაობდნენ და განა ისინი ჯარისკაცებს ომში გაგზავნიან?

ემანუელ მაკრონმა ხაზი გაუსვა, რომ მრავალეროვნული ძალები, გეგმის მიხედვით, განლაგებულნი იქნებიან „არა ფრონტის ხაზის გასწვრივ, არამედ იმ რაიონებში, რომლებიც ჯერ კიდევ კონკრეტდება“. მაგრამ იმ დროიდან, რაც პუტინმა ომი დაიწყო, კრემლის ბინადარს არაერთხელ აქვს განცხადებული, რომ ომის მიზანია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება და ის, რომ უკრაინა ალიანსის სამხედრო პლაცდარმად არ გადაიქცეს. შესაბამისად, საეჭვოა რუსეთის პრეზიდენტი ნებაყოფლობით დათანხმდეს ევროპელთა სურვილს, რომელიც ნატოს უკრაინაში ყოფნას ითვალისწინებს, ანუ იმას, რის წინააღმდეგაც კრემლი იბრძვის.

გარდა ამისა, უცნობია, როგორი ფორმით და დონით არის აშშ მზად მონაწილეობის მისაღებად ევროპული ძალების განლაგების დროს. აგვისტოში დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ იგი მზად არის ევროპული კონტინგენტი სადაზვერვო მონაცემებით უზრუნველყოს, თუმცა მან იმავდროულად გამაფრთხილებლად აღნიშნა, რომ არ სურს კონფლიქტის „მესამე მსოფლიო ომში“ გადაზრდა. ობიექტურად თუ ვიტყვით, ჯო ბაიდენიც ასევე თავს იკავებდა უკრაინისათვის ისეთი დახმარების გაწევისაგან, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთთან პირდაპირ კონფრონტაციაში ჩაითრევდა. (...)

როგორც ჩანს, რუსეთსაც და ევროპასაც თავიანთ განცხადებები დონალდ ტრამპზე აქვთ გათვლილი. ემანუელ მაკრონს, ვოლოდიმირ ზელენსკისთან და სხვა ევროპელ ლიდერებთან ერთად, სურს აჩვენოს თეთრ სახლს, რომ ისინი (ევროპელები) გაბედულად არიან განწყობილნი ომის შესაჩერებლად და რომ მშვიდობის დამყარების რეალურ დაბრკოლებას მხოლოდ მოსკოვი წარმოადგენს. თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინიც თამაშობს: იგი კარგად სარგებლობს დონალდ ტრამპის ანტისაომარი განცხადებებით და ცდილობს დაარწმუნოს ამერიკელი კოლეგა, რომ ევროპა სახიფათოდ მოქმედებს, რომლის შედეგად ომის ხანძარი შეიძლება გაფართოვდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსკონტინენტური შეჯიბრი დონალდ ტრამპის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ჯერ კიდევ გრძელდება, აშკარაა, რომ ვლადიმერ პუტინი არ არის სერიოზულად დაინტერესებული უახლოეს მომავალში ომის შეწყვეტის მოლაპარაკების დასაწყებად. მისი განცხადება, რომ ვოლოდიმირ ზელენსკისთან შესახვედრად ყველაზე საუკეთესო ადგილს მოსკოვი წარმოადგენსო, უბრალოდ, სიცილის მომგვრელია. არავის არ დავიწყებია კრემლის ნეგატიური პოზიცია უკრაინის მეთაურის მიმართ. დღეისათვის პუტინი ჯერ კიდევ დარწმუნებულია, რომ ბრძოლის ველზე რუსეთი იმარჯვებს და რომ რუსეთს აქვს შანსი, ამჯერადაც დაარღვიოს ევროპელთა ერთიანობა.

**„უკრაინის დახმარების მსურველთა კოალიციისათვის“ საუკეთესო ნაბიჯი იქნება კრემლის ეს გათვლები ჩაშალოს და უკრაინის არმიას დახმარება გაუფართოოს – მეტი ინვესტიციები განათავსოს სამხედრო ქარხნებში იარაღის წარმოების გასაფართოებლად, მიაწოდოს კიევს ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის თანამედროვე სისტემები და დააჩქაროს (გააღრმავოს) წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განხორციელება უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეებისათვის.**

**ამრიგად, არც ვლადიმერ პუტინს და არც დონალდ ტრამპს არ ექნებათ ვეტოს უფლება კონტინენტის სამომავლო უსაფრთხოებისათვის.**



მოამზადა
სიმონ კილაძემ

**დონალდ ტრამპი:**

## მზად ვარ, რუსეთს ძლიერი სანქციები დავუწესო, თუ ნატოს წევრი ყველა ქვეყანა რუსულ ნავთობზე უარს იტყვის!

**მზად ვარ, რუსეთის წინააღმდეგ ძლიერი სანქციები შემოვიღო, როცა ნატოს ყველა სახელმწიფო შეთანხმდება და იმავეს გააკეთებს, როცა ნატოს ყველა ქვეყანა რუსეთისგან ნავთობის შესყიდვაზე უარს იტყვის. როგორც იცით, ნატოს ძალისხმევა გამარჯვების საქმეში 100%-ზე გევრად ნაკლებია, ხოლო ზოგის მიერ რუსული ნავთობის შესყიდვა შოკის მომგვრელი იყო! ეს საგრძნობლად ასუსტებს თქვენს პოზიციებს მოლაპარაკებებზე და ძალას რუსეთთან მიმართებით. მე ნებისმიერ შემთხვევაში მზად ვარ „ვიმოქმედო“, როცა თქვენც იქნებით მზად. უბრალოდ, მითხარით, როდის?!**

სიმდიდრის შკალა

# მართლაც რომ არავინ იცის – სად მოიგებს, სად წააგებს...

**ფინანსებისა და ეკონომიკის სფეროში მსოფლიოში ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ 2025 წლის აგვისტოში დედამიწაზე უმდიდრეს ადამიანთა სია გამოაქვეყნა.**

**განახლებულ რეიტინგში ყველაზე დიდი ცვლილება, ხელოვნური ინტელექტის ჩივების მწარმოებელი კომპანიის “ნვიდიას” აღმასრულებელი დირექტორის ჯენსენ ჰუანგის უმდიდრესთა ნუსხაში მე-6 ადგილზე დაწინაურებაა. ჟურნალის მონაცემებით, ივლისში მე-10 ადგილოსანი ბიზნესმენის ერთბაშად ოთხი ადგილით წინ წაწევა ბოლო დროს მსოფლიოს ბირჟებზე კომპანიის აქციების ღირებულების მკვეთრ ზრდას უკავშირდება.**

**ივლისში ჯენსენ ჰუანგის ქონება მთელი 17 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 155 მილიარდს მიაღწია(!)**. ეს გარემოება კი, როგორც აღვნიშნეთ, „ნვიდიას” („Nvidia”) აქციის ღირებულების 14-პროცენტიანმა მატებამ განაპირობა. **ამ მაჩვენებლით, “ნვიდია” მსოფლიოში პირველი კომპანია გახდა, რომლის საბაზრო კაპიტალიზებამ ოთხ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა(!!!)**

არადა, ასეთი თავბრუდამხვევი რეიტინგული ნახტომის მიუხედავად, „ნვიდიას” აღმასრულებელი დირექტორის წინ წაწევა ყველაზე დიდი მაინც არ ყოფილა, რადგან მასზე გაცილებით მეტად გამდიდრდა მსოფლიოში პირადი ქონების სიდიდით ისედაც მეორე კაცი: პროგრამული უზრუნველყოფისა და ღრუბლოვანი ტექტოლოგიების კომპანია **„ორაკლის” („Oracle”) მფლობელი ლარი ელისონი. „ორაკლის” აქციებიც, „ნვიდიას” მსგავსად, ივლისის განმავლობაში 14 პროცენტით გაძვირდა, რამაც ლარი ელისონი მთელი 37 მილიარდი დოლარით გაამდიდრა**. ამის შედეგად კი მისი პირადი ქონების ღირებულება ამჟამად 300 მილიარდი დოლარია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ლარი ელისონის ვაჟიშვილის **დევიდ ელისონის ფირმა „სკაიდენსმა” („Skaidance”),** რომელიც კინო და შოუ-ბიზნესში ცნობილ ფირმებს „პარამუნტს” („Paramoont”), MTV-ს, CBS-ს) და სხვებს ფლობს, თავის სამოღვაწეო ასპარეზს კიდევ უფრო მეტად აფართოვებს და ივლისის მიწურულს რვა მილიარდი დოლარის გარიგება გააფორმა.

ელისონების ოჯახს არც ერთი საქვეყნოდ ცნობილი უმდიდრესი კაცი, **კომპანია „მეტას” („Meta”) აღმასრულებელი დირექტორი მარკ ცუკერბერგი ჩამორჩება.** მისი ქონება გასულ თვეში 27 მილიარდი დოლარით გაიზარდა. თუმცა ამ თანხით მოიმატა არა თავად ცუკერბერგის, არამედ კომპანიის აქტივებმა, თავად კი გაცილებით უფრო „მოკრძალებული” 12 მილიარდი დოლარით გამდიდრდა და ამჟამად 267 მილიარდი დოლარი „ღირს”. მის შესახებ ერთი საგულისხმო ფაქტსაც ვიტყვით: იყო შემთხვევა, როცა მისი ქონება ერთ დღეში 28,4 მილიარდი დოლარით გაიზარდა!

უნდა ითქვას ისიც, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა პირველი ატეულიდან ორმა, კერძოდ **ილონ მასკმა** და **უორენ ბაფეტმა** გაგანია ზაფხულში ზარალი ნახეს – პირველმა “დაიკლო” 5,3, მეორემ კი 2,2 მილიარდი დოლარი, **თუმცა ამან მაინც ხელი ვერ შეუშალა მასკს, კვლავაც უმდიდრესი კაცის ტიტული შეენარჩუნებინა, ვინაიდან მისი ქონება 401 მილიარდ დოლარს უდრის(!).** ამ მაჩვენებლით, იგი „400-მილიარდიანთა” კლუბის ერთადერთი წევრია!“ საბრალო” ბაფეტმა კი ადგილი სიის ბოლოში, მე-9 პოზიციაზე დაიკავა.

საბოლოო ანგარიშით, მსოფლიოს ათი უმდიდრესი კაცი ერთობლივად 2/1 ტრილიონი დოლარის ღირებულების ქონებას ფლობს, რაც აგვისტოს მდგომარეობით, 100 მილიარდი დოლარით მეტია, ვიდრე მათ ივლისის მდგომარეობით ჰქონდათ.

ამრიგად, 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მსოფლიოს ათი უმდიდრესი კაცის სია ასეთია:

1. **ილონ მასკი.** ქონება 401 მილიარ-



# თვალზე ცრემლი შეიმშრალე, უფალი დიდია, ყველაფერი კარგად იქნება...



„დე, ჩემო ერთადერთო და ტკბილო, გილოცავ დაბადების დღეს. ჯერ ისევ 15 სექტემბერია, მაგრამ მინდა ყველას დავასწრო. ღვთის შეწევნით იქნებ ბედნიერი და საოცარი დღე გათენდეს, იქნებ ყველაფერი დალაგდეს, იქნებ შენს სახეზე ისევ ღიმილი დავინახო. დე, დიდხანს უნდა მყავდე, გულთან ნუ მიგაქვს არამზადების ქმედება, უფალი ყველას თავისას მიაგებს. მთავარია, ცოცხლები ვართ, ერთად ვართ, დედა-შვილის ერთად ყოფნა და სიყვარული ხომ დაუმარცხებელია, ჩვენ ყველაფერს შევძლებთ, ბინაც გვექნება და ბედნიერებიც ვიქნებით. გილოცავ, თვალზე ცრემლი შეიმშრალე, უფალი დიდია, ყველაფერი კარგად იქნება.

შენი მაკა სევდიანიშვილი“

15 სექტემბერი. 2022 წელი.

**16 სექტემბერს** დაბადების დღე აქვს ქალბატონს, რომელმაც უსაზღვრო პატივისცემა, სიყვარული დაიმსახურა თავისი განვლილი ცხოვრებით, ადამიანთათვის თანადგომით, ერთგულებით, სამშობლოს სიყვარულით. ეს ქალბატონი ჩვენი დიდი ხნის მეგობარი მანანა გურგენაშვილი გახლავთ. ეს ის ქალბატონია, რომელსაც ღალატი არ შეუძლია, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ცხოვრებამ უღალატა–სამი წლის წინათ, 2022 წლის 7 ოქტომბერს, ერთადერთი შვილი მოუკლეს–მაკა სევდიანიშვილი. უფრო სწორად, იმ ავბედით დღეს მაკა სევდიანიშვილი მოკლა საქართველოში გაურკვეველი მიზნებით ჩამოთესლილმა ვიღაც უცხოელმა მანიაკმა.

ბევრმა მანამდეც კარგად იცოდა მანანას საოცარი ადამიანთსიყვარულის ამბავი. დიდი ხნის განმავლობაში მანანა ვაჭრობის სისტემაში მუშაობდა. ეს სფერო იმ დროს, ჯერ კიდევ კომუნისტურ საქართველოში, არ იყო პოპულარული ახალგაზრდებს შორის. ამიტომაც გამოარჩიეს ახალგანათლებამიღებული გოგონა და სწორედ ამ სფეროს პოპულარიზება დაავალეს ჩვენს იუბილარს. რთული იყო მაშინ ამ დავალებისთვის თავის გართმევა, მაგრამ მანანა არ შეუშინდა გამოწვევას და დასახულ მიზანს ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებოდა წარმატებებისკენ. არც დააყოვნა წარმატებამ – მანანა გურგენაშვილი ერთ-ერთი მოწინავე გახდა დარგში და ზემდგომი ორგანოების მესვეურთა ყურადღებაც დაიმსახურა. ამაზე მეტყველებენ ის დიპლომები, სერტიფიკატები, ჯილდოები, ე.წ. გარდამავალი დროშები, მივლინებები მოსკოვსა და ლენინგრადში დარგის მუშაკთა კონფერენციებზე თუ ყრილობებზე, უფასო ტურისტული მოგზაურობები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ეს ყველაფერი შემორჩა მანანას მეხსიერებას და მის პატარა საოჯახო „მუზეუმს“, საოჯახო ფოტოალბომს. ყოველი ნივთი, ყოველი მოგონება იუბილარს ახსენებს იმ ბედნიერ ახალგაზრდულ წლებს. მერე იყო ოჯახის შექმნა, გაუსაძლისი წლები, როცა ყველაფერი ისე მოულოდნელად დაინგრა, რომ ადამიანები სრულიად მოუმზადებლები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის დაშლას. ეს წლებიც დაძლია სულით ძლიერმა ქალბატონმა, დაძლია და სხვებსაც დააძლევინა. თვითონ უჭირდა და, მიუხედავად ამისა, სხვების გაჭირვებაც აფიქრებდა, უანგაროდ ხელს უმართავდა მეგობრებს, კოლეგებს, ამხნევებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. და როცა, ეს ყველაფერი მართლაც კარგად უნდა ყოფილიყო, სწორედ მაშინ დაატყდა თავს შვილის უბედურება. პროფესიაც შეიცვალა, ვაჭრობის სფეროდან პრესის გავრცელების სფეროში გადაინაცვლა. თუმცა თვითონ მიაჩნია, რომ ეს სფეროც დიდად არ განსხვავდება ვაჭრობის სფეროსაგან, აქაც ხომ ყიდვა-გაყიდვასთან და ადამიანებთან გაქვსო ურთიერთობა, განსხვავებიული, მაგრამ მაინც ურთიერთობა. არ იფიქროთ, რომ მანანა გურგენაშვილი უბრალოდ ჟურნალ-გაზეთების გამყიდველია, ის ქართული პრესის ერთ-ერთი მოწინავე წარმატებული გამავრცელებელია... ის ახალ პრესას ჯერ თვითონ ეცნობა და მერე სთავაზობს დაინტერესებულ მკითხველს, ურჩევს, რა შეიძინოს, რა წაიკითხოს, რას მიაქციოს ყურადღება. მკითხველი კი მრავლად ჰყავს იმ პატარა ურიკაზე კომპაქტურად დალაგებულ ჟურნალ-გაზეთებს, ყოველ სისხამ დილით რომ ხვდება სოლოლაკელებს, და არა მარტო მათ, ლადო ასათიანის ქუჩაზე. იუბილარ ქალბატონს სიყვარულით სოლოლაკის კოლორიტი შეარქვეს. ამით კი ყველაფერია ნათქვამი.

უნდა გითხრათ ისიც, რომ მანანა გურგენაშვილის გულკეთილობა, ადამიანების სიყვარულის თანდაყოლილი თვისებები სათავისოდ და ბოროტად გამოიყენეს ზოგიერთებმა. ერთ-ერთმა მათგანმა კი ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა და დედა-შვილი უსახლკაროდ დატოვა. ამასაც გაუძლებდა, ამასაც აიტანდა მანანა, რომ არა უბედურების მაუწყებელი 2022 წლის 7 ოქტომბერი. სწორედ აქედან იწყება ამ საოცრად კეთილი ქალბატონის ცხოვრების ნგრევა. თუმცა, ღვთის ნებით, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გულთან მიიტანეს ქალბატონი მანანას ტრაგედია, ამ ტრაგედიით გამოწვეული შედეგები და გვერდში ამოუდგნენ, დახმარების ხელი გაუწოდეს.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ და მადლობა ვუთხრათ ადამიანობისთვის, სიკეთისთვის სოლოლაკელებს, რომელთაგან ზოგი ბიზნესმენია, ზოგი უბრალოდ იქვე ახლოს მცხოვრები, სადაც მანანა ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებს, ზოგიც მაღალი თანამდებობის პირია. მადლობა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ **გრიგოლ გიორგაძეს,** მადლობა თბილისის მერიის თანამშრომლებს, განსაკუთრებით, თბილისის მერს, ბატონ **კახა კალაძეს** და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ **გელა ჩივიაშვილს,** მადლობა ბატონ **შმაგი ქემერტელაძეს**, აწ გარდაცვლილი ბიზნესმენისა და საზოგადო მოღვაწის **გიორგი ჭანტურიას** მეუღლეს, პოეტ **მანანა დუნდუას,** ქალბატონ **ნინო თვაურს,** ცოლ-ქმარს – **ჟაკსა და დიანას,** ბატონ **ზაზას**, რომლის გვარიც კი არ იცის ქალბატონმა მანანამ, მადლობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, **ბატონ სპარტაკ ქოზულიას,** მადლობა **მაკა სევდიანიშვილის** მკვლელობის გამომძიებელს **ლასა ტიუხაშვილს** და პროკურორ **ლევან ვეფხვაძეს**, მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლიას,** რომლებმაც დაუსჯელად არ დატოვეს მკვლელი, ეგვიპტის მოქალაქე **იუსუფ ზაიეტი** (მკვლელს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა). მადლობა ყველას, ვინც ყოველთვის ამხნევებს და გვერდში უდგას ქალბატონ მანანას.

**წერილი დავიწყეთ მილოცვით, რომელიც ქალბატონ მანანას შვილმა მაკა სევდიანიშვილმა უძღვნა. ეს მილოცვა, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა. მილოცვიდან სამ კვირაში მაკა დაიღუპა...**

### გთავაზობთ სხვა რამდენიმე მილოცვას ფეისბუქიდან:

**დღეს ტკივილიანი და გულჩამქრალი ქალის, ოდესღაც ბედნიერი და სახემცინარი დედის დღეა. როგორ მინდა მილოცვა და მისი გახარება, მისი გულში ჩაკვრა. მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მტკივა მისი ტკივილი.**

თამუნა შინდელიშვილი

**მინდა, მივულოცო ქალბატონ მანანას თავისი დღე და ვუსურვო ჯანმრთელობა და გამძლეობა. უანგაროდ გაკეთებული სიკეთე კი ასჯერ დაუბრუნდება მკეთებელს!**

როზა ბერიკაშვილი

**გულით და სულით ვულოცავ ამდენ ჭირგამოვლილ ადამიანს, გამძლეობას ვუსურვებ, ის მართლაც სოლოლაკის კოლორიტია.**

მანანა დუნდუა

**მანანა, მრავალი წელი უნდა იცხოვროთ თქვენი შვილის სულის უკვდავსაყოფად და მოსახსენიებლად. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.**

ელზა პაპუაშვილი

**მანანა მართლაც დასაფასებელი და სიკეთის მკეთებელი ადამიანია, მას ეს არ უნდა დამართნოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. ჯამრთელობა და გამძლეობა მისცეს უფალმა.**

ელზა ალაფიშვილი

**გილოცავ, ჩემო სიკეთის ადამიანო. უფალმა მოგცეს ჯანმრთელობა, გამძლეობა და იმ სიკეთის კეთების სურვილი დიდხანს, რასაც შენ აკეთებ და გასცემ ყველას მიმართ. მიყვარხარ, ჩემო მანჩო.შენ ჩემი მეორე დედიკო ხარ.**

რუსო ახობაძე

**ვკითხულობ და ცრემლები მახრჩობს... ძალიან მენანები ასეთი ცხოვრებისათვის... იყავი დიდხანს, სჭირდები შენს შვილს ჯანმრთელი, ჩემო მანანა!**

რუსუდან ქირია

**მართალს გეუბნებიან, ქალბატონო მანანა! შენ საქართველოს დედაქალაქს კოლორიტად შეემატე და მთელ თბილისს ჯანმრთელი, მშრომელი და ღიმილიანი სჭირდები. არ დაგავიწყდეს შვილის დანაბარები – „ყველაფერი კარგად იქნება“.**

ამირან ბუთურიშვილი

დი დოლარი. წყარო "თესლა", „**Space X", "XAl".** ასაკი 53 წელი. ამერიკელი.

2. **ლარი ელისონი.** ქონება 299,6 მილიარდი დოლარი. წყარო „**Oracle".** ასაკი 80 წელი. ამერიკელი.

3. **მარკ ცუკერბერგი.** ქონება 266,7 მილიარდი დოლარი. წყარო **„META" („Facebook")..** ასაკი 41 წელი, ამერიკელი.

4. **ჯეფ ბეზოსი.** ქონება 246,4 მილიარდი დოლარი. წყარო „**Amazon**". ასაკი 61 წელი. ამერიკელი.

5. **ლარი პეიჯი.** ქონება 158 მილიარდი დოლარი. წყარო **„Coogle".** ასაკი 52 წელი. ამერიკელი

6. **ჯენსენ ჰუანგი.** ქონება 154,8 მილიარდი დოლარი. წყარო **"Nvidia".** ასაკი 62 წელი, ამერიკელი.

7. **სერგეი ბრინი.** ქონება 150,8 მილიარდი დოლარი. წყარო „**Coogle**". ასაკი 51 წელი. ამერიკელი.

8. **სტივ ბალმერი,** ქონება 148, 7 მილიარდი დოლარი. წყარო **„Microsoft", „La Clippers",** ინვესტიციები. ასაკი 69 წელი. ამერიკელი.

9. **უაირენ ბაფეტი,** ქონება 143,4 მილიარდი დოლარი. წყარო **„Berkshire Hahtaway"** მილიარდი დოლარი. ასაკი 94 წელი, ამერიკელი.

10. **ბერნარ არნო,** ქონება 142,9 მილიარდი დოლარი. წყარო „**LVMH**", ასაკი 76 წელი, ფრანგი.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძე





# ტრავმით - ბრინჯაო!

**ქართველი** მოკრივე **ლაშა გურული** ლივერპულში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატს ტრავმის გამო ჩაეხსნა. ინფორმაცია თავად ლაშამ დაადასტურა. მისი თქმით, გადაწყვეტილება ექიმებთან ერთად მიიღო, რადგან ხელის მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

გურული მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში იყო გასული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველ სპორტსმენს ბრინჯაოს მედალი უკვე განაღდებული აქვს.

**„დავიწყებ მადლობით! პირველ რიგში მადლობა უფალს ყველაფრისთვის, რაც ხდება ჩემს ცხოვრებაში, მადლობა ჩემს ოჯახს, მადლობა ჩემს გულშემატკივარს, რადგან წლების განმავლობაში ვხედავ და ვგრძნობ უამრავ სითბოს,დაფასებას და სიყვარულს.**

**რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, იცით, რომ ნახევარფინალში ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ გავინაღდე ბრინჯაოს მედალი. თუმცა სამედიცინო კვლევის,ექიმის და გუნდის გადაწყვეტილებით, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ბრძოლაში სამწუხაროდ ვერ მივიღებ მონაწილეობას,რადგან ტრავმირებული ხელით მომიწია წინა სამივე ბრძოლის ჩატარება. ბუნებრივია ბრძოლიდან ბრძოლამდე იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ შეუძლებელი გახდა ჩემპიონატის გაგრძელება.**

**6 წლის განმავლობაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებიდან, ოლიმპიური თამაშებიდან მედლის გარეშე არ დავბრუნებულვარ. ენით აუწერელი სიხარული და სიამაყეა, როდესაც კვარცხლბეკზე დგომისას ქართულ დროშას ვუყურებ, კიდევ ერთხელ ვგრძნობ რამდენად ბევრს ნიშნავს ჩვენი დროშა და ჩვენი სამშობლო. თუმცა, ამჯერად მიზანშეწონილია გავიარო სრული რეაბილიტაცია, რადგან დაგიბრუნდეთ ბევრად ძლიერი. წინ დიდი გზა გვაქვს, პროფესიონალური კარიერა და მომავალი ოლიმპიური თამაშები 2028 !“,** – დაწერა სოციალურ ქსელში **გურულმა.**

შეგახსენებთ, რომ ლაშა გურული მსოფლიო ჩემპიონატზე განთესილი იყო და ტურნირზე 1/16 ფინალიდან ჩაერთო, სადაც საუდის არაბეთის წარმომადგენელი მუსა ალჰავსავის აჯობა, შემდეგ იყო ირლანდიელი დინ ქლენსი, ხოლო ლაშამ მეოთხედფინალში ინდოელი აბინაშ ჯამვალი დაამარცხა და ზედიზედ მესამედ მოახერხა მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მოპოვება.




# არავითარი კომპლექსი

**„შავმა ლომმა“ იტალიური ტურნეს მეორე მატჩში მასპინძელ „ბენეტონს“ დიდი ბრძოლა გაუმართა და მეტოქეს მხოლოდ ერთი გარდასახული ლელოთი ჩამორჩა – 15:22.**

„ბენეტონი“ იტალიის ნაკრების საბაზო გუნდია და „შავი ლომის' წინაშე საუკეთესო შემადგენლობით წარდგა. მათ შემადგენლობაში ჰყავდათ იტალიის ნაკრების 10 მოქმედი მოთამაშე, სამოას ნაკრების ორი წევრი, ახალი ზელანდიისა და არგენტინის ნაკრებების ყოფილი მოთამაშეები, ასევე სხვადასხვა დროს ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის, არგენტინისა და იტალიის 20-წლამდელთა ნაკრებების მორაგბეები. იტალიელთა სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც გარბიზი, ლამარო და ფეკიტოა არიან.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა მეტოქეს მისსავე არენაზე არაერთი თავსატეხი გაუჩინა, სამი ლელო გაუტანა და თამაშის ბედიც კარში დარტყმებმა გადაწყვიტა. **რიჩარდ ქოქრილის** შეგირდები განსაკუთრებით კარგად დაცვაში გამოიყურებოდნენ და მეტოქის არაერთი მრავალფაზიანი შეტევა მოიგერიეს. ეს იყო ორი თანაბარი დონის გუნდის დაპირისპირება, რომლის ბედი მატჩის დასკვნით წუთებში 5-წუთიანმა „ჩავარდნამ“ განაპირობა.

თამაში „შავი ლომის“ შეტევებით დაიწყო და მათ დაახლოებით 8 წუთი მასპინძელთა ნახევარზე გაატარეს, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგი 8 წუთი „ბენეტონის“ იერიშების მოსაგერიებლად თავდადებული დაცვა ვითამაშეთ, განსაკუთრებით 5-მეტრიანში, ტაიმის შუაში კი თენგიზ პერანიძემ მოედნის ცენტრში გადაცემა ჩაჭრა, შებოჭილმა ლუკა ცირეკიძეს საოცარი ოფლოუდი ამოუგდო და მანაც ლელომდე 50 მეტრი ირბინა. ლუკას ფეხდაფეხ ორი მცველი მიყვებოდა, ლელო ალამთან გაიტანა და რთული პოზიციიდან გარდასახვა მიზანს ასცდა.

მასპინძლებმა გააფთრებით შემოგვიტიეს და კვლავ გაუვალ დაცვას წააწყდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში „ბენეტონს“ უკან 30 მეტრითაც დავახევინეთ, 5-მეტრიანში კი სამჯერ მოვიგერიეთ მოლით მიძალება, მაგრამ ჯარიმებიც მოგვიმრავლდა და გიორგი სინაურიძე სინბინით დაისაჯა. „ბენეტონმა“ რიცხობრივი უპირატესობით მალე ისარგებლა, მორიგ ჯერზე მათი მოლი ლელოთი დასრულდა და გარდასახვაც ზუსტი იყო. იტალიელებმა უპირატესობის გაზრდა სცადეს, მაგრამ „შავი ლომის“ მწყობრ დაცვას კიდევ ერთხელ წააწყდნენ.

ტაიმის ბოლოს ქართველების ჯერი დადგა. მასპინძლები მოლში ორჯერ დაჯარიმდნენ, მესამე ცდაზე კი ამანაც ვერ უშველათ და ირაკლი ქვათაძემ ლელოთი უპირატესობა დაგვიბრუნა - 10:7.

მეორე ტაიმის უმეტესი დრო მასპინძლებმა კვლავ შეტევებში გაატარეს. საწყის 20 წუთში იტალიელები ვერ ახერხებდნენ ჩვენს 22-ში შემოსვლას, ჯარიმა ორჯერ კარში დაარტყეს, საიდანაც ერთი ზუსტი იყო და ანგარიში გათანაბრდა. ამან „ბენეტონი“ კიდევ უფრო გაახელა და რამდენჯერმე მრავალფაზიანი, ხელდახელ სწრაფი შეტევა განახორციელა, თუმცა სტუმართა დაცვა კვლავ კარგად ირჯებოდა. მაგრამ მუდმივად დაცვაში თამაშმა ენერგია გამოგვაცლა, 5-წუთიანი ჩავარდნით მასპინძელმა გუნდმა კარგად ისარგებლა და ორი ლელო გაიტანა, რომელთაგან ერთი გარდასახა.

დასკვნით 5 წუთში „შავმა ლომმა“ ძალები მოიკრიბა და ახლა უკვე თავად აკინძა ფაზები, რასაც ბოლოსწინა წუთზე იოსებ გუშარაშვილის ლელო მოჰყვა. გარდასახვა არაზუსტი იყო და თამაშის გადასარჩენად ჩვენი 22-იდან ვცადეთ ხელდახელ შეტევა, თუმცა ბურთი წინ დაგვივარდა და „ბენეტონმა“ ბრძოლაში 22:15 გაიმარჯვა.

მთლიანობაში, ტურნეს ფარგლებში „შავი ლომი' გაერთიანებული რაგბის ჩემპიონატის ორივე იტალიურ გუნდს ტოლ-სწორად ეთამაშა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტურნირში ჩართვის შემთხვევაში ის კონკურენტუნარიანი იქნება.

# ტოლ-სწორნი

**მართალია, ჩვენთვის ისტორიულმა ევრობასკეტმა საქართველოს ნაკრების გარეშე ჩაუშვა ღუზა, მაგრამ ამით 42-ე კონტინენტურ ფორუმს ბევრი არაფერი დაუკარგავს, სპორტული პრინციპის გათვალისწინებით კი, პირიქით – სამართალმა პური ჭამა და ფინალში ჭეშმარიტად უძლიერესნი გავიდნენ ზედიზედ, მთელი ტურნირის განმავლობაში მოპოვებული 8-8 გამარჯვებით.**



### გერმანია-ფინეთი 98:86

**ეს** გუნდები ჯგუფურ რაუნდშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა იოლად მიაღწიეს მიზანს – 91:61. რიგაში გამართული მეორე მატჩის დებიუტი კაცს გაფიქრებინებდა, რომ სკანდინავიელებმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს უახლოესი წარსულის გაკვეთილიდან – ისინი 7 ქულით დაწინაურდნენ, თუმცა ეს იყო და ეს – აქედან მოყოლებული, ბუნდესნაკრები აბობოქრდა და ამჯერადაც უპრობლემოდ მიიყვანა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე, რაც უპირველესად **შრიოდერისა** და **ვაგნერის** დამსახურება გახლავთ.

რაც შეეხება სუომის სნაიპერებს, მათ, ეტყობა, მთელი „აბოიმა“ ჯვაროსნებთან დაცალეს. ეს გამორჩეულად ჩრდილოელთა ლიდერ **მარკანენზე** ითქმის.

და კიდევ: პირველ ეტაპზე გერმანიას ავადმყოფობის გამო ესპანელი თავკაცი **ალექს მუმბრუ** გამოაკლდა და, მართალია, პლეი-ოფებიდან მოყოლებილი, იგი სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა, მაგრამ თამაშებს მისი თანაშემწეები უძღვებიან, რადგან ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო.

ჰოდა, ამ ჩვენს ბასკ სპეციალისტს მიეცა შანსი, საკალათბურთო სამყაროში გახდეს მეხუთე დიდოსტატი, რომელიც აღნიშნულ ტიტულს მოიპოვებს როგორც მოთამაშე, ისე მწვრთნელი.

### თურქეთი-საბერძნეთი 94:68

**მეხი** იქ გავარდა, სადაც არავინ ელოდა. ამ შემთხვევაში უთანასწორო ბრძოლასა და ბერძენთა უმწეობას ვგულისხმობთ, თორემ მეზობელთა პრინციპულ ჯახში რომ გამორიცხული არაფერი იყო და გულშემატკივრები მხარეთა შანსებს დაახლოებით თანაბრად აფასებდნენ, ბუკმეკერთა ფსონებიც მოწმობდა.

ალბათ, საკალათბურთო სახელმძღვანელოებშია შესატანი ბოსფორისპირელთა დამრიგებელის **ერგიულ ატამანის** მიერ შერჩეული ის ტაქტიკა, რომლითაც მისი ერთბაშად 3 ან 4 შეგირდი ბურთის მიღებისთანავე წამებში რკინის მარწუხებში აქცევდა ელადელთა მეგავარსკვლავ ანტეტოკუმპოს, ეს უკანასკნელი კი უმეტესწილად პარტნიორთა შეტევებს უშედეგოდ ასრულებდა ან ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს ვერ პოულობდა.

ამ ფონზე კარიერის საუკეთესო სანაკრებო სპექტაკლი დადგეს **ოსმანმა** (28 ქულა!) და **შენგუნმა,** რომელიც პირდაპირ დაფრინავდა და იანისის ფარქვეშ დაჩაგვრის კვალდაკვალ სამმაგ დუბლამდე მცირედი არ ეყო.

მთლიანობაში თურქეთის ნაკრებმა სრულყოფილთან მიახლოებული ანსამბლის შთაბეჭდილება დატოვა და ძნელი სავარაუდოა, რამდენად შეუშლის ხელს მის პირველ ტრიუმფს ფინალურ წყვილში მაინც ფავორიტად მიჩნეული გერმანია.

# გრანდთა თაიგული

**ევროპის 2026 წლის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრით საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა.**

ქართველი წყალბურთელები B ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მეტოქეებად სლოვენია, საბერძნეთი და ხორვატეთი ერგოთ.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეშვიდედ იასპარეზებს. საუკეთესო შედეგი 2022 წელს ჰქონდა, როცა მეოთხედფინალში გავიდა და ტურნირი მერვე ადგილზე დაასრულა. ევროპის ჩემპიონატი სერბეთში 2026 წლის 10 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით გაიმართება.



# გოლების იქნება




**ესპანეთის ლა ლიგაში გიორგი მიქაუტაძის დებიუტი შედგა. „ვილიარეალის“ ქართველმა ფორვარდმა „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ ითამაშა.**

მიქაუტაძე ძირითად შემადგენლობში იყო და 79-ე წუთზე შეცვალეს. მას იდეალური დებიუტი არ გამოუვიდა, რადგან „ვილიარეალი“ დამარცხდა, მიმდინარე სეზონში პირველად. თავის მხრივ, „ატლეტიკომ“ პირველად მოიგო.

მეცხრე წუთზე ანგარიში პაბლო ბარიოსმა გახსნა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ნიკო გონსალესმა, რომელსაც დებიუტი ჰქონდა, სხვაობა ორამდე გაზარდა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:0.

**„ვილიარეალი“ 7 ქულით მეხუთე ადგილზეა და მომდევნო ტურში 20 სექტემბერს, „ოსასუნას“ უმასპინძლებს, ხოლო მანამდე 16 სექტემბერს, ჩემპიონთა ლიგაზე „ტოტენჰემს“ შეხვდება. „ატლეტიკოს“ 5 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეცხრეა, მომდევნო ტურში იგი 21 სექტემბერს, „მალიორკას“ სტუმრად დაუპირისპირდება.**



# რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო შესანიშნავ სერვისებს გთავაზობთ!

**მიხეილ სარჯველაძე, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ჩიქოვანთან ერთად, რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო და სამედიცინო დაწესებულების მუშაობის შედეგები მოისმინა.**

**ჯანდაცვის** მინისტრმა კლინიკის თანამშრომლებს შესრულებული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და განსაკუთრებული ყურადღება რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს შესაძლებლობებზე გაამახვილა. მისივე განცხადებით, კლინიკა რეგიონის მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანეს სამედიცინო ცენტრს წარმოადგენს, რომელიც მოქალაქეებს ხარისხიან და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ სერვისებს სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ ჰოსპიტალმა არამხოლოდ გააფართოვა საკუთარი შესაძლებლობები, არამედ ჩადო ინვესტიციები, რომლებმაც რეგიონში სამედიცინო მომსახურების ხარისხი სრულად შეცვალა. რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფო უახლესი **Signa Hero**-ს მოდელის **MRI**-ის დიაგნოსტიკური აპარატით აღიჭურვა, რომელიც პაციენტებს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლონ მაგნიტო-რეზონანსული ღრმა კვლევებით ადგილზე, რეგიონიდან გაუსვლელად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანდაცვის სერვისების უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობისთვის. კლინიკაში მოქმედებს რეგიონის ყველაზე მძლავრი ქიმიოთერაპიის ცენტრი.

ღონისძიებაზე ასევე აღინიშნა, რომ რუხის რესპუბლიკურმა საავადმყოფომ წარმატებით გაიარა საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც კლინიკაში სერვისების ხარისხისა და უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს. რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ლომინაძე, ასევე კომიტეტის სხვა დეპუტატები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი ირაკლი ნატროშვილი, ჰოლდინგის დირექტორი მალხაზ ჟორჟიკაშვილი,ადგილობრივი ხელისუფლების წევრები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ეკურთხა არხილოსკალოს ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარი

**დავით სონღულაშვილი არხილოსკალოს ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის კურთხევას დაესწრო. არხილოსკალოს ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის დროებითმა მმართველმა, მეუფე თეოდორემ აკურთხა. ტაძარი 2002-2022 წლებში ნიკოლოზ ზენიაიძის ხელმძღვანელობით და ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობებით აშენდა,** – ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით სონღულაშვილის განცხადებით, არხილოსკალო ერთ-ერთი ისტორიული სოფელია და აქედან კარგად ჩანს ალაზნის მარცხენა სანაპიროზე აზერბაიჯანის ტერიტორია, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე – საქართველო.

**„მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, როგორც საზღვრისპირა მდებარეობიდან, ასევე ისტორიული წარსულიდან გამომდინარე. ამ ადგილას ტაძრის აშენება არის სიმბოლური და ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენა. მინდა, გულითადად მივულოცო არხილოსკალოს, მთლიანად მუნიციპალიტეტს და, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანას ასეთი მნიშვნელოვანი დღე“,** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

დავით სონღულაშვილთან ერთად, ტაძრის კურთხევას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, საქართველოს პარლამენტის დელეგატი გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში გია ბენაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაესწრნენ.

# ალგეთის ეროვნულ პარკში საერთაშორისო სკოლა-ბანაკი გაიხსნა

**ალგეთის ეროვნულ პარკში, საერთაშორისო სეზონური სკოლა-ბანაკის – „მთის მდგრადი განვითარების სწავლება“ გახსნის ღონისძიებას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ზესიკ ამირანაშვილი დაესწრო.**




დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ტექნიკური უნივერსიტეტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პარტნიორობით გახსნილი ბანაკი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ჩაერთონ გარემოსდაცვით პროექტებში, გაიუმჯობესონ ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

სეზონური სკოლა აერთიანებს სტუდენტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. პროექტში მონაწილეობას, პირველ ეტაპზე, 30 სტუდენტი მიიღებს.

ბანაკის გახსნის პირველ დღეს ახალგაზრდებმა დაათვალიერეს ალგეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი და ეროვნული პარკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. მომდევნო 5 დღის განმავლობაში, მონაწილეებისთვის გაიმართება საერთაშორისო ლექცია-სემინარები მთის მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებსა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე; ახალგაზრდებს მიეცემათ შესაძლებლობა, პრაქტიკულ გარემოში შეისწავლონ მთის მდგრადი განვითარების გამოწვევები, გაეცნონ დრონის ტექნოლოგიების გამოყენებას, ჩაერთონ ლაშქრობებსა და საველე კვლევებში.

# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით ახორციელებს 500 კვ. „წყალტუბო-ახალციხის“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომში ტექსტში – ეგხ) მშენებლობის პროექტს. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრო მომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

500 კვ. ეგხ „წყალტუბო-ახალციხის“ ზემოქმედების არეალში მოექცა წყალტუბოში, პატრიკეთში, სოფ. ტყაჩირში მდებარე, თქვენს – ზურაბი გაბუნიას (პ/ნ 60001014010) საკუთრებაში არსებული N29.17.37.157 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ 1186.00 კვ.მ.. შესაბამისად, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების სანაცვლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გიწვევთ მოლაპარაკებისათვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ 1186 კვ.მ.-ზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს.




# 23 სექტემბერს რომში დათო მაღრაძის წიგნის – „ROMA AMOR“ პრეზენტაცია გაიმართება

**23 სექტემბერს რომში, პალაცო ფირენცეში, „დანტე ალიგიერის საზოგადოება“ პოეტ დათო მაღრაძის წიგნის – „ROMA AMOR” - პრეზენტაციას გამართავს.**

ორგანიზატორების ცნობით, „დანტეს საზოგადოებამ“ პოეტის წიგნის 100 ხელნაკეთი ეგზემპლარი დაამზადა და იგივე წიგნი სრული ტირაჟითაც გამოსცა.

**„წიგნის ერთი წინასიტყვაობა ეკუთვნის „დანტეს საზოგადოების“ გენერალურ მდივანს ალესანდრო მასის, მეორე წინასიტყვაობის ავტორი კი სენატორი მასიმო გარავალია”,** – ნათქვამია ორგანიზატორების განცხადებაში.

# ნეპალში არეულობის დროს დაღუპულთა რაოდენობა 72-მდე გაიზარდა

**ნეპალში ანტიკორუფციული საპროტესტო გამოსვლებისა და არეულობის დროს დაღუპულთა რაოდენობა 72-მდე გაიზარდა,** – შესაბამის ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს. სამძებრო და გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება სავაჭრო ცენტრებსა და სხვა შენობებში, რომლებიც არეულობის დროს დაზიანდა.

**„ახლა ვპოულობთ იმ ადამიანების ცხედრებს, რომლებიც დაიღუპნენ, როდესაც სავაჭრო ცენტრებს, სახლებსა და სხვა შენობებს ცეცხლი წაუკიდეს ან თავს დაესხნენ“,** – განაცხადა ჯანდაცვის უწყების პრესსპიკერმა.

სამინისტროს ბოლო მონაცემებით, დაშავებულთა რაოდენობა 2 100-ს აღემატება.

**არეულობის ფონზე პრემიერ-მინისტრმა შარმა ოლიმ თანამდებობა დატოვა, მის ნაცვლად ქვეყანას დროებით უხელმძღვანელებს ყოფილი მთავარი მოსამართლე სუშილა კარკი. ახალი საპარლამენტო არჩევნები ნეპალში 2026 წლის 5 მარტს არის დანიშნული.**



# პრემია „საგურამოს“ და ილიას მედლის 2025 წლის ახალი ლაურეატები

**დასახელდნენ პრემია „საგურამოს“ და ილიას მედლის 2025 წლის ლაურეატები. საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ინფორმაციით, ესენი არიან:**

პოეზია – **ია სულამერიძე, საშა გველესიანი;**

პროზა – **ბესო ხვედელიძე;**

კრიტიკა, პუბლიცისტიკა, დოკუმენტური პროზა – **თამარ გელიტაშვილი;**

საბავშვო ლიტერატურა – **თამარ ჭავახიშვილი;**

ხელოვნება – **ბადრი ქუთათელაძე;**

ჰუმანიტარული მეცნიერება – **მერაბ ბერიძე;**

თარგმანი – **დოდო ყვავილაშვილი;**

ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა” ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცემა – **დავით მუსხელიშვილს.**




# ხინოწმინდობის დღესასწაული ქობულეთში



**ქობულეთში ხინოწმინდობის დღესასწაული საზეიმოდ აღინიშნა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სულხან თამაზაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას სახალხო ზეიმი მიულოცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

**„დღეს ჩვენი რეგიონისთვის ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია. ეს არის ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობის ზეიმი. ჩემთვის, როგორც კინტრიშის ხეობის მკვიდრისთვის, უდიდესი პატივია, რომ სიტყვით მოგმართავთ და თქვენთან ერთად აღვნიშნავ ამ დღეს. ოდითგანვე ჩვენი მთავარი ძალა იყო რწმენა და სულიერება. დღეს, როდესაც ჩვენი ერის წინაშე კვლავ მრავალი გამოწვევა დგას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო და ეკლესია ერთიანობით ემსახურებოდეს საერთო მიზანს – ქართველი ხალხის კეთილდღეობას, სამშობლოს გაძლიერებას მშვიდობიანი პოლიტიკით და მომავალი თაობების აღზრდას. ჩვენს რეგიონში აქტიურად გაგრძელდება ეკლესიებისა და მონასტრების, როგორც რესტავრაცია, ასევე მშენებლობა, რაც ჩვენი რწმენის გაძლიერებას შეუწყობს ხელს“,** – განაცხადა სულხან თამაზაშვილმა.

ხინოწმინდაში აქტიურად მიმდინარეობს იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ტაძრის აღდგენის სამუშაოები. დღეს ტაძარზე ჯვრის აღმართვის ცერემონია გაიმართა. სამუშაოების დასრულება კი 2026 წლისთვის არის დაგეგმილი.

ღონისძიების ფარგლებში, ხინოწმინდის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, დამსახურებულ პირებს, მათ შორის აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს **„საპატიო ხინოწმინდელის“** დიპლომი გადაეცათ. ხინოწმინდობის სახალხო დღესასწაულს აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე,** ქობულეთის მერობის მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი ცეცხლაძე,** აჭარის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.




# „მშვიდობის ქართული პარადიგმა. საუნივერსიტეტო დიპლომატია – საქართველოს არჩევანი“




## თურქეთში ზურაბ ხონელიძის მონოგრაფია გამოიცა

**თურქეთის ქალაქ ანკარაში თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ გამოსცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, პროფესორ ზურაბ ხონელიძის მონოგრაფია „მშვიდობის ქართული პარადიგმა. საუნივერსიტეტო დიპლომატია – საქართველოს არჩევანი”, –** ინფორმაციას ისტორიკოსი **პახა პვაშილავა** ავრცელებს სოციალურ ქსელში.

**„უკვე თორმეტ ენაზე ითარგმნა პროფესორ ზურაბ ხონელიძის მნიშვნელოვანი კვლევა, რომელმაც აღიარება ჰპოვა აშშ-ის, ევროკავშირის, ჩინეთის, ისრაელის, თურქეთის, მოლდოვის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის პოლიტიკოსებში, დიპლომატიურ და აკადემიურ წრეებში. რამდენიმე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში უკვე ლექციებიც კი იკითხება ამ ნაშრომის საფუძველზე.**

**მიმდინარე წლის ოქტომბერში ანკარაში ახლად გამოცემული ნაშრომის პრეზენტაცია შედგება, სადაც ავტორი აუდიტორიის წინაშე კიდევ ერთხელ განსახილველად დააყენებს რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოების ასპექტში საუნივერსიტეტო დიპლომატიის მნიშვნელობას.**

**მონოგრაფია თურქულ ენაზე თარგმნა ცნობილმა თურქმა ქართველოლოგმა, ჩვენი ქვეყნის მეგობარმა, პროფესორმა ჰარუნ ჩიმქემ.**

**ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თურქეთის საისტორიო საზოგადოების წევრმა, 19 მაისის უნივერსიტეტის (ქ. სამსუნი, თურქეთი) პროფესორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, ბატონმა იბრაჰიმ თელლიოღლუმ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, თურქეთის საისტორიო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, ბატონმა როინ ყავრელიშვილმა.**

**ვულოცავ ბატონ ზურაბს თურქულენოვანი მონოგრაფიის გამოცემას“,** – წერს **პახა პვაშილავა.**

# პოლონელი მილიარდერი ევროპაში ღვთისმშობლის ყველაზე მაღალ ქანდაკებას აშენებს!

**მილიარდერი რომან კარკოსიკის დაფინანსებით, პოლონეთში ღვთისმშობლის ქანდაკების მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ყველაზე მაღალი იქნება ევროპაში,** – ამ ინფორმაციას გაზეთი „ფაინენშალ თაიმსი“ ავრცელებს.

55 მეტრის სიმაღლის ბეტონის მონუმენტი ქალაქ ტორუნთან ახლოს, სოფელ კონოტოპიეში, ხორბლის მინდვრებში, პოლონეთის ერთ-ერთი უმდიდრესი მრეწველის, კარკოსიკის კუთვნილ მიწაზე შენდება.

ქანდაკება, თავისი სიმაღლით, სავარაუდოდ, დაჩრდილავს როგორც ქრისტეს 36-მეტრიან ქანდაკებას, რომელიც დასავლეთ პოლონეთში, სვებოდზინში მდებარეობს, ასევე მაცხოვრის 38-მეტრიან ძეგლს რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია).

ახალი ქანდაკების კურთხევა მომავალი წლის 15 აგვისტოს, კათოლიკურ დღესასწაულზე – ღვთისმშობლის მიძინების დღისთვის არის დაგეგმილი.

„ფაინენშალ თაიმსი“ პროექტს „თითქმის ფარაონულს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ სოფლად მისი მდებარეობა ხაზს უსვამს კათოლიკური ეკლესიის შეუცვლელ როლს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კონსერვატიულ რეგიონებში, რომლებიც მემარჯვენე პარტია „კანონი და სამართლიანობა“-ს (PiS) უჭერენ მხარს.

ინდუსტრიული კონგლომერატის, Boryszew-ის დამფუძნებელი კარკოსიკი წარსულშიც აფინანსებდა რელიგიურ ინიციატივებს, მათ შორის – იქვე მდებარე ღვთისმშობლის ტაძრის რეკონსტრუქციას, რომელიც მე-19 საუკუნის შემდეგ, მომლოცველთა შორის ერთ-ერთი პოპულარული ადგილია.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 სექტემბერს**